# ხობის მოამბე



№13 (7004) 6 აგვისტო, სამშაბათი, 2013 წელი.

ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## აგვისტოს ომი–ტკივილი ჩვენი



ხუთი წელია თავს გვახსენებს ომის ტკივილიანი დღეები, როდესაც გვართმევდნენ საკუთარ მიწა–წყალს, ეროვნულ თვითშეგნებას, ქართველ ვაჟკაცებს...

თავს გვახსენებენ ბრძოლის ველზე დაღუპული გმირები. მათ სამშობლოს არ უღალატეს, სისხლის ფასად ცდილობდნენ ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. ჩვენს მუნიციპალიტეტსაც ჰყავს ახალი დროის გმირები, პირტიტველა ვაჟკაცები, ისინი ისტორიის კუთვნილებად იქცნენ... მათ სახელებს ხსოვნა და პატივის მიგება არ მოაკლდება.

ქართველმა ერმა, მიუხედავად ამ დიდი განსაცდელისა, მაინც შეინარჩუნა ერთიანობა, გამოიჩინა გამძლეობა და განაგრძო ბრძოლა უკეთესი მომავლისაკენ. ცხოვრება გრძელდება ომში დაღუპული გმირების მოსაგონრად. მათი სულების უკვდავსაყოფად გვმართებს ქვეყნის გაძლიერება და გამთლიანება. მათი შთამომავლობისათვის მედნიერი, ნათელი მომავლის შექმნა.

*მამუკა ქარდავა,*
*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.*



კიდევ ერთი სისხლიანი თარიღი მიითვალა საქართველოს ისტორიამ, დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა მუნიციპალიტეტმა 2008 წლის აგვისტოს ომში. რჩეული ბიჭები შეეწირნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მამულისათვის თავდადება რჩეულთა ხვედრია.

თანაგრძნობას ვუცხადებ დაღუპულთა მშობლებს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს ამ დანაკარგისათვის, მაგრამ მე, როგორც ამ ტრაგედიის ერთ–ერთ თვითმხილველსა და ამ ბრძოლის მონაწილეს, მჯერა, რომ ამაოდ არ ჩაივლის ეს თავგანწირვა და დაღვრილი სისხლი, აღსდგება საქართველოს მთლიანობა, ხოლო დაღუპულთა ხსოვნა ნათელივით გაყვება შთამომავლობას, მომავალი თაობები იამაყებენ მათი გმირობით.

*კახაბერ ბენიძე,*
*ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.*

## გმირი დედები– გმირ შვილებზე

>>>>>>>>> 5,6,7

### ახალი კადრები

## „თანასოფლელების წინაშე ყოველდღე გამოცდას გავდივარ“

>>>>>>>>> 3

### განათლება

## ახალი სასწავლო წელი უფრო ნაყოფიერი იქნება

>>>>>>>>> 8

## დევნილთა რეგისტრაცია 3 სექტემბრამდე გაგრძელდება

1 აგვისტოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ხობის მუნიციპალიტეტში იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაცია დაიწყო, რომელიც მიმდინარე წლის 3 სექტემბრამდე გაგრძელდება. რეგისტრაციისათვის პირი (ერთი საოჯახო ნომრიდან ოჯახის ყველა წევრი) უნდა გამოცხადდეს ხობის კულტურის სახლის ფოიეში (მისამართი: ქ.ხობი, ცოტნე დადიანის ქუჩა 187) შესაბამისი დოკუმენტაციით (დევნილის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა).

რეგისტრირებულ პირთა მოწმობების გაცემა დაიწყება 2013 წლის 1 ნოემბრიდან და გაგრძელდება მარტის ჩათვლით ლიბერთი ბანკის ფილიალებში.

## წყალდიდობა ხობის მუნიციპალიტეტში





ხობის მუნიციპალიტეტში ორდღიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად დაიტბორა ქ. ხობის ტერიტორია და დაბალი ზონის სოფლები. წყალდიდობამ და მოვარდნილმა ნიაღვარმა დატბორა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და საყანე ფართობები, განადგურდა ერთწლიანი ნარგავები, მოსახლეობის დიდ ნაწილს წყალი საცხოვრებელ სახლშიც შეუვარდა, რამოდენიმე წუთით გადაკეტილი იყო საავტომობილო გზის ხობი-ზუგდიდის მონაკვეთი. შემთხვევის ადგილებზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა, გამგებელი კახაბერ ბენიძე, გამგებლის მოადგილეები და სამაშველო და სახანძრო ბრიგადები. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია ზარალის შემსწავლელი კომისია.

## 12 აგვისტო—ცოცხნეობა დიდი საერო-სახალხო დღესასწაული

### პროგრამა



1) 9.00 სთ. წირვა ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი;

წირვას აღავლენს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მეუფე გრიგოლი.

2) 12.00 სთ.

-ხალხური ყოფის ამსახველი ფრაგმენტების ჩვენება;

-ქართული პოეზიისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების წარმოდგენა;

- ეთნოგრაფიული მასალების, ხალხური ყოფისა და რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა;

-სპორტული თამაშობანი (ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი, ჭადრაკი, ნარდი, მაგიდის ჩოგბურთი).

3) 16.00 სთ-კონცერტი (თვითშემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით).

ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია.

## საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში სწავლა 16 სექტემბერს განახლდება

## „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ვთხოვოთ უფალს, რომ სიძულვილი სიყვარულით შეიცვალოს“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორის განცხადებით, „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ვთხოვოთ უფალს, რომ სიძულვილი სიყვარულით შეიცვალოს“.

ამის შესახებ პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ ბრძანა.

„წმინდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვით ეს მოქცევა, რომელიც მირიან მეფისგან დაიწყო დღემდე გრძელდება და იქნება, სანამ დედამიწა იარსებებს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ვთხოვოთ უფალს, რომ სიძულვილი სიყვარულით შეიცვალოს, ცოდვა მადლად იქცეს და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ასე მოხდება“,–ბრძანა პატრიარქმა.

## „რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ხანგრძლივი დრო დასჭირდება, თუმცა ჩვენ ამას აუცილებლად მივაღწევთ“



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „ქართველ ხალხს რუსი ხალხი, რუს ხალხს კი ქართველები უყვარს“.

ამის შესახებ ივანიშვილმა „ამერიკის ხმის“ მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელ ჯეიმს ბრუკისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„მე ვფიქრობ, რომ რაც შეიძლებოდა ამ მოკლე დროში მივაღწიეთ და სავაჭრო ურთიერთობები აღვადგინეთ, რომელთა გაღრმავება და გაფართოება შეიძლება. ამას გარდა, ვფიქრობ, რომ რეალისტურად, რაც შეიძლება მოყვეს, იქნება მუდმივი ავიარეისების აღდგენა და შესაძლოა, გამარტივდეს რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმი ან საერთოდ გაუქმდეს ის. რაც შეეხება შორეულ პერსპექტივას, იმას, რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით და რაც აუცილებლად უნდა მოხდეს, ჩემი აზრით, უფრო მეტი დრო დასჭირდება, რათა დავალაგოთ და აღვადგინოთ ის მეგობრული ურთიერთობები, რაც ჩვენ რუსებთან გვქონდა. ამას დასჭირდება დრო, ხანგრძლივი დრო, თუმცა ეს დროში განვითარდება და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ და დავალაგებთ ურთიერთობებს. თქვენ სწორად შენიშნეთ, რომ ტურისტების რაოდენობა გაიზარდა, რაც მისასალმებელია. ქართველ ხალხს უყვარს რუსი ხალხი და რუს ხალხს უყვარს ქართველები. არსებობს დიდი სურვილი და ნოსტალგია და შემთხვევითი არ არის, რომ ტურისტების რაოდენობა გაიზარა“,–განაცხადა პრემიერმა.

## დავით უსუფაშვილს საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად საპარლამენტო უმცირესობის მხარდაჭერის იმედი აქვს

პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად საპარლამენტო უმცირესობის მხარდაჭერის იმედი აქვს.

ამის შესახებ უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„ნაციონალური მოძრაობის“ არც მხარდაჭერის და არც არაფრის იმედი მაქვს, მაგრამ ნომინალურად „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით პარლამენტში შემოსული ადამიანებისგან მხარდაჭერის იმედი მაქვს, იმიტომ, რომ ეს არის კონსტიტუციური ცვლილებები, რომელზეც მცირე გამონაკლისის გარდა, საწინააღმდეგო აზრი უბრალოდ არ არსებობს. მაგალითად, პრეზიდენტს თუ შეეკვეცა არასწორი და არაადეკვატური უფლებამოსილება, რატომ არ უნდა შეეკვეცოს იგი პრემიერ-მინისტრს, მით უმეტეს, თუ პრემიერი თავად გამოდის ამ ინიციატივით. ახლა გინდა „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენდეს ვინმე, გინდა ნაციონალურ უძრაობას, რა მოტივით არ უნდა აუწიოს ხელი ამას“,–განაცხადა უსუფაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ეხება საქართველოს იმ მოქალაქის მიერ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავების საკითხს, რომელიც იმავდროულად, უცხო ქვეყნის მოქალაქეა. საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ეხება საქართველოს



მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის წინაშე მთავრობის ნდობის საკითხის დასმას, ხოლო მესამე - საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტსა და კონსტიტუციური კანონის პროექტზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისათვის საჭირო კვორუმის საკითხებს.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე განიხილავს.

## „ხელისუფლებამ უნდა შეძლოს და მოისმინოს მისთვის არასასიამოვნო გადაწყვეტილება“

საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, „ხელისუფლებამ უნდა შეძლოს და მოისმინოს მისთვის არასასიამოვნო გადაწყვეტილება“.

ამის შესახებ კბილაშვილმა „პირველ არხთან“ ინტერვიუში ბაჩო ახალაიასთვის სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესახებ საუბრისას განაცხადა.

„ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ შედეგი, რომელიც გუშინ იქნა დამდგარი, ეს ბრალდების მხარის სისუსტით იყო განპირობებული. მას შემდეგ, რაც ჩვენ სასამართლოს გადაწყვეტილებას მივიღებთ და გავეცნობით, გვექნება პოზიცია, გავასაჩივროთ ის თუ არა. შესაძლებელია, ბევრ ადამიანს ჰქონდეს ემოცია ამ გადაწყვეტილების მიმართ, მაგრამ ზოგადად, პროცესი არის ჯანმრთელი. ხელისუფლებამ არ მიიღო ისეთი ზომები, როდესაც შეიძლებოდა სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები ყოფილიყო დემოკრატიასთან შეუსაბამო, რაც წარსულში არაერთგზის იყო, ამიტომ ასეთი რამ არ განხორციელდა და ამ დროს უკვე ჩვენ ვალდებული ვართ,



მივიღოთ და მოვისმინოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც მიუღებელია ამა თუ იმ ადამიანისთვის. ეს არის პროცესის სიჯანმრთელე. სასამართლო არ კონტროლდება პროკურატურის მხრიდან. პროცესის ჯანმრთელობა არის ის, რომ ხელისუფლებამ შეძლოს და მოისმინოს მისთვის არასასიამოვნო გადაწყვეტილება“, - განაცხადა კბილაშვილმა.

მისივე თქმით, პრემიერთან მას ახალაიას საქმეზე საუბარი არ ჰქონია, მხოლოდ მოკლე საუბარი ჰქონდა იუსტიციის მინისტრთან, როდესაც ბრალდების მხარის პოზიციის შესახებ ის საქმის კურსში ჩააყენა.

## „2008 წელს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მრავალი ერის ისტორია იწერებოდა“



საქართველოში ვიზიტით მყოფი პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის იაროსლავ კაჩინსკის განცხადებით, 2008 წელს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მრავალი ერის ისტორია იწერებოდა.

ამის შესახებ კაჩინსკიმ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„2008 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა–ეს არის მსოფლიოს მასშტაბით დიდი ამბავი. აქ მაშინ იწერებოდა ისტორია, არა მხოლოდ ქართველი, არამედ მრავალი ერისა. ეს იყო ადამიანების ისტორია. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი ხალხისთვის. აქედან გამომდინარეა ის პატივისცემა, რაც თქვენგან მივიღე. ადამიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ ყველაფერში, იყო ჩემი ძმა. მე, რა თქმა უნდა, როგორც პრემიერ-მინისტრი, ვიღებდი გადაწყვეტილებებს და იმედი მაქვს, რომ ეს იყო დადებითი“, –განაცხადა კაჩინსკიმ.

## „ძალიან კარგია, რომ სენატორი ჯონ მაკკეინი კვლავ ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი“



საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკანიანის განცხადებით, ძალიან კარგია, რომ სენატორი ჯონ მაკკეინი კვლავ ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოს ევროატლატიკური ინტეგრაციისადმი.

ამის შესახებ ზალკალიანმა ჟურნალისტებს მაკკეინის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას განუცხადა.

„მაკკეინი საქართველოს მეგობარია, მას არაერთხელ გაუკეთებია საქართველოს მხარდამჭერი განცხადება, კერძოდ, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით. ძალიან კარგია, რომ ის კვლავ ადასტურებს ამ მხარდაჭერას. ჩვენ ამას მივესალმებით, რაც მეტი იქნება ასეთი მხარდამჭერი განცხადებები ამერიკელი კანონმდებლების, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, ჩვენ ამას მხოლოდდამხოლოდ მივესალმებით“, - განაცხადა ზალკანიანმა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ დროა, აშშ-მა ფუნდამენტურად გადახედოს ურთიერთობებს პუტინის რუსეთთან. მისივე თქმით, რაც შეიძლება, ოპერატიულად უნდა გადავიდეთ ნატო-ს შემდგომ გაფართოებაზე და ეს საქართველოსაც ეხება.

## ახალი კადრები



ნომრის სტუმარია **გია გვაძაბია**—ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ქვემო ქვალონის თემში.

# „თანასოფლელების წინაშე ყოველდღე გამოცდას გავდივარ“

***ქვემო ქვალონის თემი დიდია, როგორც ტერიტორიულად ასევე მცხოვრებთა რიცხვით. თქვენ, როგორც თემის ხელმძღვანელი, რას გვეტყოდით მის წარსულსა და აწმყოზე, როგორ გესახებათ თემის მომავალი?***

—ხობის მუნიციპალიტეტში ქვემო ქვალონის თემი ტერიტორიულად და მცხოვრებთა სიმრავლით გამოირჩევა, მისი წარსული საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მცირე ნაწილია, რომელსაც ქვემო ქვალონელთა შრომითი საქმიანობა და ტრადიციები ავსებდა და დროსთან ერთად ვითარდებოდა. დღევანდელობა ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. მე თავად, თემის მომავალს ადამიანების უკეთესად ცხოვრებაში, საარსებო გარემოს კეთილმოწყობაში, მათ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებაში, ახალგაზრდებისათვის თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებასა და ადამიანების შრომით დასაქმებაში ვხედავ.

***გია, იქნებ თქვენზეც გვიამბოთ. ვინ ხართ და საიდან მოდიხართ?***

—მე და ჩვენ ყველანი, ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. 1988 წელს დავიბადე ერთ შრომისმოყვარე ოჯახში, სადაც დღემდე პატივს სცემენ ზრდილობას, განათლებას, წესიერებას, კეთილურთიერთობებს.

ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, დავამთავრე აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობით.

ვარ სპორტსმენი. ვიმყოფებოდი სამხედრო რეზერვში. სხვადასხვა დროს ფოთში ვმუშაობდი. მიუხედავად ჩემი წლოვანებისა, სასოფლო-სამეურნეო საქმეში გარკვეული გამოცდილება მაქვს.

***სოფლის ხელმძღვანელობა ადვილი საქმე როდია, მით უფრო, როცა ის ისეთი დიდია და თანაც წლების განმავლობაში მას ძალიან კარგი და სოფელში დაფასებული ხელმძღვანელი ჰყავდა.***

***გია, როგორ მოხვდით ამ თანამდებობაზე—თქვენი აქტიურობით, საქმისა და სოფლის სიყვარულით თუ?..***

—კარგად მაქვს გაცნობიერებული, საერთოდ, ხელმძღვანელობა და თანაც შენი სოფლის, ადვილი საქმე არ არის. ბუნებით აქტიური ადამიანი ვარ. საქმის კეთებაც მიყვარს და სოფელიც. ვცდილობ, ყველა საქმე, რასაც ხელს მოვკიდებ, ბოლომდე მივიყვანო. ვფიქრობ, ჩემი ამ თანამდებობაზე მოხვედრა ამან განაპირობა.

***რა იყო პირველი საქმე, რითაც დაიწყეთ თქვენი გადაწყვეტილებების განხორციელება ამ თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ. გაკეთებული საქმეებით კმაყოფილი ხართ?***

—თვითკამაყოფილება არ მჩვევია. პირველი, რაც იყო, სოფლის საჭიროებებს გავეცანი. იყო საქმეებიც, რომლებიც გავაკეთე, მაგრამ მათზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ არ მიმაჩნია. ამასთან, თემში უფროსი თაობის ადამიანებთან მქონდა შეხვედრა, მათგან ბევრი საჭირო წინადადება, რჩევა და კრიტიკაც მივიღე. იანვრიდან დღემდე ყოველდღიურობაში იყო სირთულეებიც, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ მის დაძლევაში მეტი ინტერესია. ვცდილობ, თანასოფლელებისთვის ბევრი რამ გავაკეთო და მათ ერთგულად ვემსახურო.

***რას გვეტყოდით სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში პრემიერის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაზე. ხალხში რა რეაქცია მოჰყვა მის გადაწყვეტილებებს?***

—ბატონი პრემიერის გადაწყვეტილებებს ხალხში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ყველამ გააცნობიერა, რომ მისი პროგრამა სოფელზე, ხალხზე ზრუნვითაა გამსჭვალული. დიდ წინაპრებს უთქვამთ: „სოფელი ქვეყნისთვის ღონის მიმცემიაო“. სწორედ, სოფლისთვის ღონის მისაცემადაა ეს გადაწყვეტილებები მიღებული.

თემში საგაზაფხულო სამუშაოები შესრულდა. მოიხნა და დაითესა 630 ჰექტარი მიწის ფართობი. ხვნა-თესვის სამუშაოები დროულად დამთავრდა. თემში 1366 სასოფლო-სამეურნეო ბარათი დარიგდა, მაგრამ იყო გამონაკლისი—20 ოჯახს ბარათი არ მიუღია.

***გია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა წლებია მოქმედებს. წელს რა შეიცვალა. ამ დიდ ცვლილებებსა და მთავრობის მიერ გადადგმული ხალხისთვის სასიკეთო საქმეებს, კიდევ რამე ახალი შეემატა?***

***რა გადაწყვიტეთ თანასოფლელებთან ერთად. რა გაკეთდება ამ პროგრამით ქვემო ქვალონში?***

—მართალია, სოფლის პროგრამა წლების განმავლობაში მოქმედებდა, მაგრამ ჩემი აზრით, ცვლილება, რაც მოხდა სოფლის პროგრამაში, უზრუნველყოფს იმას, რომ ამ პროგრამის სიკეთეს ყველა ოჯახი იგრძნობს.

ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სანიაღვრე არხების ამოწმენდა. მოსაცდელის მშენებლობა; კულტურის სახლის რემონტი; სპორტული დარბაზის კეთილმოწყობა, რათა თემის ახალგზარდებმა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება შესძლონ, რომ მათ ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად პირობები ჰქონდეთ.

***ქვემოქვალონელები, თქვენი ძალისხმევითა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა თანადგომით, კიდევ რა სიახლეების მოლოდინში არიან?***

—ქვემოქვალონელთა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა თანადგომით თემში ნაბიჯნაბიჯ მოხერხდება იმ პრობლემების გადაჭრა, რაც ყველაზე აქტუალურია და რაც ხალხს აწუხებს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

***ნატვრა და სურვილი, რომელიც დღემდე გაწუხებთ?***

—ნატვრა და სურვილი ბევრი მაქვს—პირადიც და საზოგადოებრივიც. მაწუხებს ის, რომ ჩვენთან არიან ოჯახები, რომელთაც მატერიალურად უჭირთ, მაგრამ ვერ ვეხმარები. ჩემი ნატვრაა სოფელში აშენდეს სალოცავი, გაუმჯობესდეს თითოეული ოჯახის ყოფითი მდგომარეობა, კეთილმოეწყოს თემი და თითოეულს ნატვრა და სურვილი აუხდეს.

***ის საქმე, რაც უახლოეს მომავალში გადაწყდება?***

—თემში მრავალი პრობლემაა. უპირველესად უახლოეს მომავალში, დაიძლევა ის პრობლემა, რაც ყველაზე აქტუალურია და ხალხს ყველაზე მეტად სჭირდება.

***რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საპრეზიდენტო არჩევნები. ხალხში რა აზრი მუსირებს. მართალია ეს თითოეული ამომრჩევლის ნება და სურვილია ვის დაუჭერს მხარს, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ახალ ხელისუფლებას მეტი მხარდამჭერი ეყოლება, მათთვის მისაღებია წამოყენებული კანდიდატი?***

—ქართველმა ხალხმა თავისი ნება მაშინ გამოხატა, როცა 2012 წლის პირველ ოქტომბერს ახალი არჩევანი გააკეთა და ახალი მთავრობა აირჩია. დარწმუნებული ვარ, საპრეზიდენტო არჩევნებში ახალი ხელისუფლების კანდიდატს დიდი მხარდაჭერა ექნება და გაიმარჯვებს.

***მოდით, გულახდილი იყავით, რთულია „მონომახის ქუდის“ ტარება. ელოდით იმ სირთულეებს, რაც ყოველდღიურობაში გხვდებათ, თუ უფრო მეტს მოელოდით? გია, შეეჩვიეთ და შეეგუეთ თანასოფლელებთან ურთიერთობას (თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ, ეს მაქვს მხედველობაში). ალბათ მათთან ადრე, მხოლოდ მცირედი შეხებები გაკავშირებდათ. როგორ ფიქრობთ, გენდობიან და თქვენი სჯერათ?***

—გულახდილად გეტყვით, ვიცოდი, რომ სირთულეები იქნებოდა, წინააღმდეგობებიც. უფრო მეტსაც ველოდი. მზად ვარ მათ გასამკლავებლად. ვფიქრობ, თანასოფლელებთან ურთიერთობა არ მიჭირს. ვატყობ, თუ ადამიანი გიყვარს, პატივს სცემ, მასთან თანაზიარი ხარ, მზრუნველობით მოეკიდები, გვერდით დაუდგები, გულისყურით მოუსმენ, მასთან მართალი იქნები, მის სიხარულსა და საწუხარს გაიზიარებ, დაგიჯერებენ და მოგენდობიან, მხარს დაგიჭერენ. მართალია, ახალგაზრდა ვარ და სასწავლი ბევრი მაქვს, თანასოფლელთა წინაშე ყოველდღე გამოცდას გავდივარ. დიდი სურვილი მაქვს ეს გამოცდა წარმატებით ჩავაბარო.

***როგორი ურთიერთობა გაქვთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თემიდან არჩეულ დეპუტატთან. თქვენს ურთიერთობაში ყველაფერი მოწესრიგებულია და გამჭვირვალე?***

— ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თემიდან არჩეულ დეპუტატთან ზურაბ ალანიასთან ნორმალური დამოკიდებულება მაქვს, რასაკვირველია საქმიანი.

***გია, ხართ რელიგიური, ღვთის მფარველობის გჯერათ. არ გაწუხებთ ის, რომ ასეთ დიდ თემში სალოცავი არ გაქვთ. ხომ არ მოგიფიქრებიათ რაიმე, რომ ხალხისა და სპონსორების დახმარებით ააგოთ სალოცავი—ღვთის სადიდებელი?***

—რელიგიური ვარ და ამოდენა თემში რომ სალოცავი არ არის, მაწუხებს. სურვილი დიდია, ამასთან დაკავშირებით გარკვეული გეგმებიც გვაქვს. მჯერა, ღვთის შეწევნით ამ დიდ საქმეს გავაკეთებთ.

***იქნებ კიდევ რამე გაქვთ სათქმელი?***

—მინდა ჩემი სოფელი უფრო ღონიერი იყოს. (გონიერება არ გვაკლია). ჩვენი სამშობლო გამთლიანებული და გაბრწყინებული, ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა, მტერი ძლეული და მოყვარე გამრავლებული. თანასოფლელები ჩემში მეგობარს ხედავდნენ.

***მეც მინდა დავიჯერო, რომ თქვენ ღირსეული ხელმძღვანელი და ხალხის მოსიყვარულე მეგობარი იქნებით. გისურვებთ წარმატებებს. მადლობა ინტერვიუსთვის.***

—გმადლობთ, რომ ჩემთვის მოიცალეთ. ეს ჩემთვის პირველი ინტერვიუა და მეტად საპასუხისმგებლო. მჯერა თქვენი კეთილმოსურნეობის. მე, როგორც ხელმძღვანელი, ვეცდები თემში მუშაობა ისე წარვმართო, რომ დადებითი მასალები გქონდეთ გაზეთ „ხობის მოამბეში“ გასაშუქებლად. მანამ მეც მეტი მექნება გაკეთებული და სათქმელიც.

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია.***

# „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტს 882 794 ლარი გამოეყო

# გთავაზობთ თემებსა და სოფლებში ჩასატარებელ სამუშაოთა ნუსხას

| № | ტერიტორიული ორგანო | სოფელი | გამოყო-ფილი თანხა | პროექტების დასახელება |
|---|---|---|---|---|
| 1 | ახალსოფელი | ახალსოფელი | 18535 | ახალსოფლის თემის სოფელ ახალსოფელში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები |
| 2 | | გაღმა პირველი ხორგა | 7785 | სოფელ გაღმა პირველი ხორგის საბავშვო ბაღის ოთახების რემონტის სამუშაოები |
| 3 | | გაღმა პირველი ხორგა | 6000 | სოფელ გაღმა პირველი ხორგის შინმოუსვლელტა ობელისკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა |
| 4 | | გაღმა პირველი ხორგა | 4700 | სოფელ გაღმა პირველ ხორგაში საშონიოს უბანში საყანე ფართობების შემოკავება |
| | ჯამი | | **37020,00** | |
| 5 | ახალი ხიბულა | ახალი ხიბულა | 10500 | ახალი ხიბულის თემში სოფელ ახალ ხიბულაში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები |
| 6 | | გაშფერდი | 12500 | ახალი ხიბულის თემში სოფელ გაშფერდში ხიდბოგირის მოწყობა |
| 7 | | გაშფერდი ახალი ხიბულა გაშფერდი | 18475 | ახალი ხიბულის თემში სოფელ გაშფერდში მშენებარე ეკლესიის ეზოს შემოღობვის სამუშაოების |
| | | ზუბი | 6000 | ახალი ხიბულის თემში სოფელ ზუბში მოსაცდელის მოწყობა |
| | | ზუბი | 3700 | ახალი ხიბულის თემში სოფელ ზუბში წყლის სადაწნეო კოშკის კონსტრუქციული გამაგრების სამუშაობი |
| | ჯამი | | **51175,00** | |
| 10 | ბია | ბია | 22717 | ბიის თემში სოფელ ბიაში საბავშვო ბაღის რემონტი |
| 11 | | ზემო ბია | 2554 | ბიის თემის სოფელ ზემო ბიაში გზის სარემონტო სამუშაოები |
| | ჯამი | | **25271,00** | |
| 12 | პირველი მაისი | ბულიწყუ | 12300 | პირველი მაისის თემის ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობა |
| 13 | | ბულიწყუ საკვიკინიო ჭიხუ | 44067 | პირველი მაისის თემის სოფელ ბულიწყუში საყანე ფართობების შემოკავება<br>პირველი მაისის თემის სოფელ ბულიწყუში (საჩოკორაიო საგაბისონიოს უბანი)საყანე ფართობების შემოკავება |
| | ჯამი | | **56367,00** | |
| 14 | გურიფული | I გურიფული | 9508 | საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია 2-რე ეტაპი |
| 15 | | I გურიფული | 4500 | გურიფულის თემის სოფელ I გურიფულში სანიაღვრე არხის ამოწმენდა |
| 16 | | I გურიფული | 500 | მინი სპორტული მოედნის განათების აღრიცხვის კვანძის რეგისტრაცია |
| 17 | | II გურიფული | 11892 | გურიფულის თემის სოფელ II გურიფულში სანიაღვრე არხის ამოწმენდა |
| 18 | | II გურიფული | 500 | მინი სპორტული მოედნის განათების აღრიცხვის კვანძის რეგისტრაცია |

| № | ტერიტორიული ორგანო | სოფელი | გამოყო-ფილი თანხა | პროექტების დასახელება |
|---|---|---|---|---|
| 14 | გურიფული | I გურიფული | 9508 | საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია 2-რე ეტაპი |
| 15 | | I გურიფული | 4500 | გურიფულის თემის სოფელ I გურიფულში სანიაღვრე არხის ამოწმენდა |
| 16 | | I გურიფული | 500 | მინი სპორტული მოედნის განათების აღრიცხვის კვანძის რეგისტრაცია |
| 17 | | II გურიფული | 11892 | გურიფულის თემის სოფელ II გურიფულში სანიაღვრე არხის ამოწმენდა |
| 18 | | II გურიფული | 500 | მინი სპორტული მოედნის განათების აღრიცხვის კვანძის რეგისტრაცია |
| 19 | | II გურიფული | 3500 | მდინარე ხობისწყალზე საცალფეხო ხიდამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები |
| | ჯამი | | **30400,00** | |
| 20 | ზემო ქვალონი | საალანიო-საფაჩულიო | 6253 | ზემო ქვალონის თემის სოფელ ზემო ქვალონში წყალგაყვანილობის მილების მონტაჟი |
| 21 | | საალანიო-საფაჩულიო | 6140 | ზემო ქვალონის თემის სოფელ საალანიო-საფაჩულიოს საყანე ფართობების შემოღობვის სამუშაოები (მავთულბადის შესყიდვა) |
| 22 | | სახოჭოლავო | 14382 | ზემო ქვალონის თემის სოფელ სახოჭოლავოში საყანე ფართობების შემოღობვის სამუშაოები |
| | ჯამი | | **26775,00** | |
| 23 | თორსა-დღვაბა | თორსა | 16 798 | თორსა-დღვაბის თემის სოფელ თორსაში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 24 | | დღვაბა | 9 040 | თორსა-დღვაბის თემის სოფელ დღვაბაში საყანე ფართობების შემოკავების სამუშაოები |
| 25 | | საბუკიო | 13 224 | თორსა-დღვაბის თემის სოფელ საბუკიოში სპორტული მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოები |
| | ჯამი | | **39 062,00** | |
| 26 | *nojixevi* | ნოჯიხევი | 3200 | ნოჯიხევის თემში სოფელ ნოჯიხევში (მონასტრის მიმდებარე ტერიტორია) გზაზე წყალამრიდი ცხაურის მოწყობა |
| 27 | | ნოჯიხევი | 21300 | ნოჯიხევის თემის სოფელ ნოჯიხევში საყანე ფართობთან მისასვლელი ხიდის მშენებლობა |
| 28 | | დასახლება | 11200 | ნოჯიხევის თემის სოფელ დასახლებაში საყანე ფართობების შემოღობვა |
| 29 | | დასახლება | 5359 | ნოჯიხევის თემის სოფელ დასახლებაში საბავშვო ბაღის შენობის ოთახების სარემონტო სამუშაოები |
| 30 | | ზენი | 8 310 | ნოჯიხევის თემის სოფელ ზენში საყანე ფართობთან მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოები |
| 31 | | კუთხე ნოჯიხევი | 9 418 | ნოჯიხევის თემის სოფელ კუთხენოჯიხევში გზის ორმული შეკეთება ასფალტობეტონით |
| 32 | | ნაფოშტუ ნოჯიხევი | 22852 | ნოჯიხევის თემის სოფელ ნაფოშტუში საყანე ფართობთან მისასვლელი ხიდის მშენებლობა |
| | ჯამი | | **81639,00** | |
| 33 | პატარა ფოთი | პატარა ფოთი | 10000 | სოფელ პატარა ფოთში III უბანში საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის ორმული შეკეთების სამუშაოები |
| 34 | | პატარა ფოთი | 8 267 | სოფელ პატარა ფოთში III უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები |
| 35 | | პატარა ფოთი | 7000 | სოფელ პატარა ფოთში I უბანში რკ/ბეტონის ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები |
| | ჯამი | | **25267,00** | |

| № | ტერიტორიული ორგანო | სოფელი | გამოყო-ფილი თანხა | პროექტების დასახელება |
|---|---|---|---|---|
| 33 | პატარა ფოთი | პატარა ფოთი | 10000 | სოფელ პატარა ფოთში III უბანში საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის ორმული შეკეთების სამუშაოები |
| 34 | | პატარა ფოთი | 8 267 | სოფელ პატარა ფოთში III უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები |
| 35 | | პატარა ფოთი | 7000 | სოფელ პატარა ფოთში I უბანში რკ/ბეტონის ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები |
| | ჯამი | | **25267,00** | |
| 36 | შავღელე | შავღელე | 25581 | სოფელ შავღელეში საბავშო ბაღის მშენებლობა |
| | ჯამი | | **25581,00** | |
| 37 | პირველი ხორგა | პირველი ხორგა | 17 679 | სოფელ პირველ ხორგაში სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები |
| | ჯამი | | **17 679,00** | |
| 38 | საგვიჩიო | საგვიჩიო | 16 106 | სოფელ საგვიჩიოში სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები |
| | ჯამი | | **16 106,00** | |
| 39 | საჯიჯაო | ზენი, გაღმა საჯიჯაო,ზუბი, ჯაპიშაქარი | 65000 | საჯიჯაოს თემის სოფელ ზენში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები |
| 40 | | ზენი | 7041 | საჯიჯაოს თემის სოფელ ზენში ეკლესიის შემოკავებისა და მისავლელი გზის კეთილმოწყობის სამუშაოები |
| 41 | | გაღმა საჯიჯაო | 6000 | საჯიჯაოს თემის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მოსაცდელის მოწყობა |
| | ჯამი | | **78041,00** | |
| 42 | ქარიატა | გაღმა ქარიატა გამოღმა ქარიატა | 12 554 | ქარიატის თემის სოფელ გაღმა ქარიატაში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა |
| 43 | | გამოღმა ქარიატ | 6000 | ქარიატის თემის სოფელ გამოღმა ქარიატაში სკოლის ეზოს ღობის რეაბილიტაციის სამუშაოები |
| 44 | | გამოღმა ქარიატ | 5900 | სოფლის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები |
| | ჯამი | | **24 454,00** | |
| 45 | ქვ.ქვალონი | ბულიში გიმოზგონჯილი გვიმარონი დურღენა | 54 737 | ქვემო ქვალონის თემის სოფელ ბულიში კულტურის სახლის რემონტი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები |
| 46 | | **გვიმარონი** | **2500** | **ქვემო ქვალონის თემის სოფელ გვიმარონში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები** |
| 47 | | გვიმარონი | 9400 | ქვემო ქვალონის თემის სოფელ გვიმარონში გზის ორმული შეკეთების სამუშაოები |
| 48 | | **დურღენა** | **1500** | **2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცის გოგიტა ქარჩავას სახელობის ქუჩის მაჩვენებლი ნიშანის მოწყობა** |
| 49 | | ჭითაუშქური | 3 645 | ქვემო ქვალონის თემის სოფელ ჭითაუშქურში გზის ორმული შეკეთების სამუშაოები |
| 50 | | **ჭითაუშქური** | **6000** | **ქვემო ქვალონის თემის სოფელ ჭითაუშქურში მოსაცდელის მოწყობა** |
| | | **ჯამი** | | **77 782,00** |
| 51 | ჭალადიდი | საბაჟო | 7400 | ჭალადიდის თემის სოფელ საბაჟოში საყანე ფართობების შემოღობვა |
| 52 | | საბაჟო | 15716 | ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები |
| 53 | | საბაჟო | 2500 | ჭალადიდის თემის სოფელ საბაჟოში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები |
| 54 | | საღვამიჩაო საქირიო საბაჟო საჭოჭუო | 28000 | ჭალადიდის თემის სოფელ საღვამიჩაოში საყანე ფართობების შემოღობვა |
| 55 | | საჭოჭუო | 8300 | ჭალადიდის თემის სოფელ საჭოჭუოში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები |
| | ჯამი | | **61916,00** | |

»»» 9

# აგვისტოს ომი — ტკივილი ჩვენი

„ომში არ ეძახიან, ომში მიდიან".–აგვისტოს ცხელ დღეებში ამ სიტყვებით ემშვიდობებოდნენ ოჯახებს საქართველოში...

ამ სიტყვების ავტორები ხშირად ქალბატონებიც იყვნენ.

ისინი მიდიოდნენ უთანასწორო, უსამართლო, სისხლისმღვრელ ომში, რომელიც არნახული სისასტიკით სპობდა ყოველივე ქართულს...

წლების მანძილზე სამშვიდობო ძალების სახელსამოფარებული მტერი ბომბავდა ქართულ ქალაქებსა და სოფლებს, წვავდა, კლავდა, აცამტვერებდა ყველაფერს, რაც წინ დაუდგებოდა, შემოხვდებოდა...

დროდრო ამ სისასტიკეს აჩერებდა... მტარვალის განცვიფრება, რებად შერაცხა...

გოგა ბერაიამ, გოგა ჭითანავამ, დათა ხურცილავამ, ლევან ჭოჭუამ, მიხეილ იოსავამ, გოგიტა ქარჩავამ, ზვიად დათუაშვილმა, ლევან ტურავამ, რამაზ კიტიამ ხუთ დღეში მოახერხეს ლეგენდებად ქცეულიყვნენ, მარადიულ, სანთელდანთებულ სახელებად... ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

...ისევ მოვიდა აგვისტო, ცრემლით, ტკივილით სავსე... ქართველებს თითქოს ისტორიულად გვერგო. ტკივილს, უსაზღვრო დარდს მუდამ ახლავს ასევე უსაზღვრო სიამაყე დაუმარცხებელი ქართული სულის!

ასეთი ტკივილით, სიამაყით იწერებოდა ოდითგანვე „ქართლის

## „ნეტავ, თქვენებრ ვალმოხდილს," ბიჭებო!

ცხოვრება"...

ხშირად აღფრთოვანება (ზიზღით დაბრმავებული გონებას თუ კი რაღაც ჰქონდა შემორჩენილი ადამიანური და ქრისტიანული) ქართველი მეომრების, სამშობლოს დამცველების არნახული ვაჟკაცობა და მხედრული სული...

ამ სიმამაცეს წინ მხოლოდ ვერაგობა და რიცხვითი სიმრავლე ედგა.

და ეს არ იყო მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადება, ეს თანატოლებისთვის, მომავალი თაობებისათვის მაგალითი და გაფრთხილება იყო.

სულ ხუთიოდე წლის წინათ ჩვენ ერთი თაობა ვიყავით, თითქოს ერთნაირები, ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავებულნი...

დღეს... ჩვენ, ქართული საზოგადოების ერთი ჩვეულებრივი ნაწილი ვართ. 2008 წლის აგვისტოს ხუთმა დღემ ისინი არაჩვეულებრივ ნაწილად აქცია, უფრო მეტი, გმი-

ამ ისტორიის დღევანდელ ფურცლებს თქვენი ცხოვრება, გმირობა და გამორჩეული თავდადება ამშვენებს მიხეილ, გოგა, დათა, გოგა, ლევან ზვიად, გოგიტა, ლევან, ზვიად, რამაზ! თქვენ ბევრნი, ბევრნი ხართ! დღეს ზეციური საქართველოს ბინადარნი, გუშინ საქართველოს გუშაგნი და მამაცი დამცველნი, შვილიშვილებისათვის, მომავალი თაობებისთვის მაგალითის მიმცემნი, საკუთარი სიცოცხლის ფასად საქართველოს ისტორიის შემოქმედნი!

სამუდამო სასუფეველი თქვენ!

ჩვენ კი პოეტის ნატვრა ალალი–„ნეტავ თქვენებრ ვალმოხდილს", ბიჭებო!

***ლაშა ცატავა,***

***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–რესპუბლიკელების" თავმჯდომარე.***

ის, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, არა როგორც მხოლოდ ქართველისათვის, არამედ, როგორც ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისათვის წარმოუდგენელი რამ არის. უკვე რამდენიმე წელია, რაც სისხლი დაიღვარა საქართველოს ძირძველ კუთხეში-აფხაზეთსა და ოსეთში. სეპარატისტული ძალების, მათი პოლიტიკის, გამთიშველური, საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დასარღვევად მიმართული ქმედების შედეგად ყოვლად გაუმართლებელ ძმათამკვლელ ომში იქნა ჩართული ამ კუთხის მოსახლეობა. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ორი ერი, რომელთაც ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია, რომ არაფერი ვთქვათ ნათესაობასა და ადათ-წესების სიახლოვეზე.

დიახ, ომი ჩვენი დღევანდელობის სამწუხარო რეალობად იქცა. გვაწუხებს და გვაძრწუნებს ის სისასტიკე, რომელიც ომს ახასიათებს, უბედურება, რომელიც სამხედრო შეტაკებებს მოჰყვება ხოლმე. ომი ომია, მას თავისი კანონები გააჩნია, მაგრამ ჩვენთვის, უბრალო ადამიანებისთვის გაუგებარია, ის სისასტიკე, რომელიც მას მოჰყვება ხოლმე.

2008 წლის აგვისტოს ომმა, ჩვენს მუნიციპალიტეტს დიდი უბედურება დაატეხა თავს. ამ ომმა ჩვენ მოგვცა ცხრა გმირი, რომელიც ჩვენი უახლოესი ისტორიის გაუხუნარ ფურცლებში პოვებს ასახვას. გაზეთ „ხობის მოამბეში" მათზე ხშირად იწერება წერილები, მოგონებები, დღეს კი გადავწყვიტეთ მათზე ილაპარაკონ მათმა დედებმა, მათმა გამზრდელებმა, რომლებმაც გმირული სულისკვეთება ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს, მოამზადეს ისინი „საგმიროდ". მაშ ასე, გმირი დედები, გმირ შვილებზე.

*მანანა შულაია.*

# გმირი დედები–გმირ შვილებზე

## ვიცი, ჩემი შვილი იქ ბედნიერია



გოგა ბერაია

ჩემი შვილი გოგა ბერაია, განსაკუთრებული ბავშვი იყო. ნათქვამია, რაღაც ზებუნებრივი, ასეთ ბავშვებს სხვებისგან გამოარჩევსო, მართლაც საოცრად კეთილი, კაცთმოყვარე, იუმორით სავსე და ანცი ბავშვი იყო. მის ყოველ გამოხედვაში იყო რაღაც ამოუცნობი, რაც ხშირად მაშინებდა. იყო საუკეთესო მოსწავლე. ძალიან ბევრს კითხულობდა, უყვარდა სათავგადასავლო წიგნები. მისი სამაგიდო წიგნი იყო „გმირთა ვარამი". ხშირად კითხულობდა ისტორიულ წიგნებს.

გოგა საოცრად უყვარდა მეგობრებს, ზაფხულში როცა სოფელში იყო, ჩემი ეზო ახალგაზრდებით აივსებოდა. იყო მხიარულება, აურზაური. ხშირად ვსაყვედურობდი, რა იყო შვილო, რა ამბავია ჩვენს ეზოში მეთქი. ის კი ღიმილით მომიგებდა „ასეთია ჩემი ცხოვრება, მეგობრებს ვუყვარვარო", მართლაც ძალიან უყვარდა ყველას. თბილისში ერთოთახიან ვიწრო ბინაში თვითონ იატაკზე დაწვებოდა, სხვებს თავის ადგილს დაუთმობდა.

ძალიან უყვარდა მეზობლების დახმარება. გოგას მთელი მეზობლების ლოცვა-კურთხევა მიჰყვება.

ჰყავდა საცოლე, რომელიც ძალიან უყვარდა და ალბათ დღეს მისი ხატი, რომელიც გოგას მიჰყვება იქაც იცავს. ფიქრობდა მომავალში ბედნიერ ოჯახზე. სწავლობდა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტში, საბანკო საფინანსო განხრით, იყო IV კურსის სტუდენტი.

იმ ავბედით დღეს განსაკუთრებული ქცევა შევნიშნე. დილიდანვე აღტაცებული იყო, თითქოსდა სიკვდილს ეგებებოდა, თავის ძმას, მასავით სტუდენტს, გიორგი ბერაიას, რომელიც საბაჟო აკადემიის IV კურსის სტუდენტი იყო, ეხუმრებოდა „აბა ჩქარა ჩაიცვი, ზანტი ნუ ხარ, ხედავ სამშობლოს ვჭირდებით, გვიხმობსო"–ლურსმანივით მომხვდა გულში მისი სიტყვები, წინ გადაველობე, არ გაგიშვებ მეთქი. გოგამ მითხრა, ნუ გეშინია დედა, თუ სიკვდილი მიწერია, აქაც მოვკვდებიო. მერე ჩაჯდა თავის ძმასთან ერთად მანქანაში და ხელი ღიმილით დამიქნია, თავისი ანცი ღიმილი გონებიდან არ ამომდის, თითქოს რაღაც იცოდა, რაღაც ეძახდა, რომელიც სამუდამო სასუფეველში იპოვა.

მე გმირ დედად არ ვთვლი თავს, მე ვარ მრავალ დედათა შორის გაწამებული, განადგურებული დედა, რომელსაც ბუნებამ შვილი წაართვა, მაგრამ ამავე დროს ამაყი, რადგან ვიცი ჩემი შვილი იქ ბედნიერია, მისი რწმენა, მომავალი, სამშობლოს ეკუთვნის.

გაგიკვირდებათ, ხშირად შვილი მეცხადება, მეფერება და მეუბნება „ნუ გეშინია დედა, წინ მომავალია". დაე, ბედნიერი იყოს ჩვენი ერი და მომავალში არც ერთ დედას არ ეგემოს ის ტკივილი, რაც ჩემ გულში ტრიალებს.

**ლამზირა ბერაია.**

## სანთლებს აგინთებთ...

*...ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც წყლისა და სულისაგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში.*

*ხორცისაგან შობილი ხორცია და სულისაგან შობილი სულია... ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევე ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი.*

*რათა არც ერთი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეთ საუკუნო სიცოცხლე.*

***იოანეს სახარებიდან.***

ისტორია 2013 წლის 8 აგვისტოს, კიდევ ერთ ცრემლიან და ტკივილიან წელს მიითვლის, იმათი ოჯახებისა და ახლობლებისათვის, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომში გმირული სიკვდილით დაიღუპა. მათი სახელები ისტორიამ სამუდამო გმირის შარავანდედით შემოსა.

გოგა ბერაია, გოგა ჭითანავა, დათა ხურცილავა, ლევან ჭოჭუა, მიხეილ იოსავა, გოგიტა ქარჩავა, ზვიად დათუაშვილი, ლევან ტურავა, რამაზ კიტია... მათი სახელები თაობიდან თაობას გადაეცემა...

ძალიან მიჭირს მათზე წარსულში წერა, არადა მეამაყება, რომ მათი „გორისა" ვარ.

გმირებო! 8 აგვისტოს კიდევ ერთხელ მოვიყრით მუხლს თქვენს საფლავებთან, ახლობლები, ოჯახის წევრები, სანთლებს აგინთებთ და სასუფევლისაკენ მიმავალ გზას გაგინათებთ.

თანავუგრძნობ დაღუპული ბიჭების ოჯახს. მადლობას გწირავთ დედებო, მამებო, დებო და ძმებო! მრავალჟამიერ თქვენი ხსენება.

*ჯემალ დამბაშიძე,*

*გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი.*

## მამულს შეწირული....



მიშიკო იოსავა

შეუძლებელია არ გაიზიარო დედის ცრემლებით დაწერილი, წაიკითხო და ფიქრებით არ შეუერთდე თითოეულ ტკივილიან, დაზაფრულ, ელდანაკრავ მოგონებებს. თურმე ჩემსავით ბევრს ერგო ბედისაგან ცხოვრების რთული გზა. ვხვდები, რომ უწამლო ტკივილი გვხვდა წილად, ხსოვნა არაფრით არ აშრობს ცრემლს, წარსულის შემყურეს მახსენდება მიშიკოს ყოველი დღე, მოზომილად ცელქი, როგორ მისმენდა, ყოველი შენიშვნა მისთვის მისაღები იყო. იშვიათად, იგივე გაემეორებინა.

მახსენდება როგორ ამზადებდა გაკვეთილებს, როგორ თამაშობდა, რითი ერთობოდა, უყვარდა თევზაობა, ნადირობა თითქოს ეკრანზე გაირბინა ყველაფერმა ამან და... როგორ დაგვაშორა ერთმანეთს.

მიშიკო დიდი მონდომებით მიაბიჯებდა სიმაღლისაკენ. მიზანდასახული იყო და ფიქრობდა მომავალზე, მას ძალიან უყვარდა სიცოცხლე, მაგრამ ვფიქრობ, უფალმა ღმერთმა ის იპოვა მიწიერ საუკუნეში ჩაფლული და დასავანებლად თავის ულამაზეს წიაღში წაიყვანა.

უფლის ნებით და ძალით შვილგარდაცვლილი მშობლები უნდა გავკაჟდეთ, გულმა ფოლადის ძალით ყოველივეს უნდა გაუძლოს და ვილოცოთ, ჩვენი შვილები, მამულს შეწირული ვაჟკაცები ჯარისკაცებად ველარ დაბრუნდნენ, მაგრამ მოვლენ როგორც უკვდავი სულები, ზეციდან გადაეფარებიან საფიცარ დედასამშობლოს და ვერაგი მტრებისგან დაიცავენ.

**მარინე კაკულია**

## აგვისტოს ომი — ტკივილი ჩვენი

# გმირი დედები — გმირ შვილებზე

## გოგას ვერაფერი შეაჩერებდა


გოგა ჟითანავა

გოგა 1987 წლის 30 ოქტომბერს ხობის რაიონის სოფელ ხეთაში დაიბადა, დაამთავრა ხეთის საშუალო სკოლა, 2008 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. ორჯერ ჰქონდა მიღებული რეზერვისტის სერთიფიკატი.

პატარაობიდანვე ისეთი ბავშვი იყო, დაეყრდნობოდი. ნებისმიერ საქმეს, რომელსაც დაავალებდი თავისუფლად აკეთებდა. ოჯახის წევრებსაც კი გვიკვირდა ისეთი იყო: მონდომებული. ჭკვიანი, კეთილი, თბილი, მოსიყვარულე, მეგობრული, ქართული ტრადიციების მოყვარული და მიმდევარი, შეყვარებული თავის კუთხეზე, ოჯახზე, ხეთაზე... ჭკვიანური რჩევებისა და აზრების თქმა იცოდა. იგი ეკლესიური იყო, მარხულობდა, ეზიარებოდა... სწორედ ნაზიარები მივიდა უფალთან.

განსაკუთრებით უყვარდა პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. მოსწონდა დემეტრე თავდადებული, ცოტნე დადიანი, მღვდელი თევდორე. აფასებდა მათ თავდადებას და უყვარდა ისინი. მახსოვს, ერთხელ სკოლაში თემა დაუწერია „ჩემი საყვარელი გმირი“, ცოტნე დადიანზე. „მე იმიტომ მიყვარს ცოტნე დადიანი, რომ მეგობრები გაჭირვების დროს არ მიატოვა, მათთან მივიდა და გვერდით მიუჯდა, თუმცა იქ ის ძალით არავის მიუყვანია, მე მინდა ცოტნესავით თავდადებული გმირი გავხდეო“. სწორედ ისე წავიდა გოგას ისტორიაც, როგორც გმირი ცოტნესი, თითქოს თავის ბედს წინასწარ გრძნობდა. ეს, ალბათ, გოგას ბედისწერის ძახილი იყო. მისი ლამაზი სიცოცხლე მისი საყვარელი გმირის შესაბამისად გაგრძელდა და იქვე დასრულდა...

გოგა მეგობრობას წინა პლანზე აყენებდა, იგი ძალიან მეგობრული იყო, ჰყავდა მეგობრების ფართო წრე. დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა, ყველგან სიყვარულს თესავდა, ნებისმიერ ადამიანთან შეეძლო კონტაქტის დამყარება, ის ძალიან ერთგული და მოსიყვარულე ადამიანი იყო. სწორედ ამ სიყვარულმა მიიყვანა ის სენაკის სამხედრო ბაზაზე. უყვარდა უფროსებთან საუბარი. აფასებდა და პატივს სცემდა მათ.

გოგა შეყვარებული იყო. 2008 წლის სექტემბრის თვეში აპირებდა დაოჯახებას, კარგ სამსახურზე და მომავალზე ოცნებობდა. ოჯახში უმცროსი შვილი იყო, ძმებს ერთმანეთთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ერთმანეთის მესაიდუმლეები და ერთმანეთზე უსაზღვროდ შეყვარებულები იყვნენ. ლევანი დღემდე ვერ შეგუებია იმ აზრს, რომ გოგა მის გვერდით არაა, ჩვენ, მშობლები იმ იმედით ვცოცხლობთ, რომ გოგას ზეციურ საქართველოში აუცილებლად შევხვდებით.

სტუდენტობის დროს ვერ ახერხებდა მუშაობას, მთლიანად სწავლაზე იყო გადართული, სწორედ, დამთავრების შემდგომ ფიქრობდა სამსახურზე, რაც სამწუხაროდ, სხვა ოცნებებთან ერთად განუხორციელებელი დარჩა...

ზაფხულში სოფლის ჩემპიონატი ტარდებოდა ფეხბურთში, რომელშიც გოგა ღებულობდა მონაწილეობას, 8 აგვისტოს, როცა გამოიძახეს მან უარი თქვა თამაშზე და მეგობრებს უთხრა, რა დროს ფეხბურთია, როცა სამშობლოს უჭირს, მე აუცილებლად უნდა წავიდეო. მას არანაირი შიში და მოწყენილობა არ ეტყობოდა, რადგან სულით ძლიერი ადამიანი იყო, მის შეჩერებას ოჯახი და მეგობრებიც ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. ის მაინც წავიდა იქ, სადაც მეგობრები, საქართველო და მომავალი ეგულებოდა. ვხედავდით, რომ გოგას ვერაფერი შეაჩერებდა, მან წასვლა გადაწყვიტა. ეჩქარებოდა... ზურგჩანთაში ჩაილაგა ყველაფერი, რაც სჭირდებოდა, გაცილების დროს კი, როცა სახლიდან გავდიოდით, ის თვალს გვარიდებდა, არ უნდოდა ენახა ჩვენი მოწყენილი და სევდიანი სახეები.

გოგა და მის გვერდით დაღუპული ბიჭები ისტორიას შემორჩა, როგორც გმირები, ჩვენ, კი, ამ ბიჭების დედებს ისლა დაგვრჩენია, ვილოცოთ მათი სულებისთვის, მინდა ყველა მათგანი გავამხნევო, ჩვენ, მათ ისევ შევხვდებით... მომავალში მინდა მშვიდობა იყოს, მინდა საქართველო გამთლიანდეს და ჩვენი გმირი ბიჭების ოცნება ახდეს...

ნანი ჟითანავა.

## სამშობლოს სიყვარულმა სძლია


დათა ხურცილავა

ჩემი შვილი, დათა ხურცილავა გამოირჩეოდა კეთილი გულით, მიმტევებლობითა და სიყვარულის დიდი გრძნობით. მისი ცხოვრების განმსაზღვრელი კრედო, სიმართლისმოყვარეობა იყო. ისტორიული ჟანრის ნაწარმოებების კითხვა უყვარდა. საყვარელ წიგნად „დათა თუთაშხიას“ მიიჩნევდა, რამეთუ მისი მთავარი გმირი ხიბლავდა. თანატოლებთან მეგობრული და უღალატო იყო. ცდილობდა ყველასთვის სიკეთე ეკეთებინა. განსაკუთრებულ პატივისცემას უფროსებისადმი იჩენდა. შეყვარებული იყო, ლამაზი ქართული ოჯახის შექმნაზე და ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნებობდა.

დათამ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა, ყულევის ტერმინალში დაცვის ოფიცრად მუშაობდა, სადაც დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა, ასაკით ყველაზე უმცროსი იყო, მაგრამ ყველაზე ჭკვიანს ეძახდნენ.

მახსოვს ომის წინა დღეებში მოწყენილი, ჩაფიქრებული და ალერსიანი იყო. იმ ავბედით დღეს, სამსახურიდან მოვიდა და უსიტყვოდ წავიდა იქ, სადაც მისი ძმა და თანატოლები იმყოფებოდნენ, რომ ვუთხარი არ წახვიდე მეთქი, მიპასუხა: დავიმალოო? სამშობლოს სიყვარულმა სძლია ყველაფერს და წავიდა....

მომავალში რა იქნბა ეს მხოლოდ უფალმა იცის,მაგრამ მე მშვიდობას ვისურვებდი, მშვიდობა ყოფილიყოს ყველგან და ჩვენი შვილების მიერ დაღვრილი სისხლი, საწინდარი ყოფილიყოს ქვეყნის გამთლიანების.

ნინო გულუა.

## სამშობლოს დასჭირდა და მსხვერპლად შეეწირა


გოგიტა ქარჩავა

ხუთი წელი სრულდება 2008 წლის აგვისტოს ომიდან, რომელმაც ჩემი შვილის სიცოცხლე წარიტაცა, ეს წლები გაუსაძლის ტკივილად, მოუშუშებელ იარად, მოგონებებად, უსაშველო მონატრებად, ლოდინადაა ქცეული... გავზარდე, ვასწავლე როგორც შემეძლო. უპირველესად ჩავუნერგე პატიოსნება, სიყვარული მოყვასისადმი, ქვეყნისადმი, რაც ყოველთვის ოჯახით იწყება, შრომისმოყვარეობით და პასუხისმგებლობით. დანარჩენი თვითონ გააკეთა, სამშობლოს დასჭირდა და იქ დადგა, სადაც საჭირო იყო და მსხვერპლად შეეწირა.

ბავშვობიდანვე ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული იყო, თითქმის არასდროს ბრაზდებოდა, უყვარდა საოჯახო საქმე, ყველაფრის კეთება ეხერხებოდა, ძმებს შორისაც გულისხმიერებით, კეთილშობილებითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდა.

ძალიან უყვარდა სათავგადასავლო ლიტერატურა, მისი საყვარელი მწერალი იყო კონსტანტინე გამსახურდია, ხოლო საყვარელი წიგნი „დიდოსტატის მარჯვენა“.

თანატოლებთან, მეგობრებთან მიმართებაში ძალიან გულისხმიაერი იყო, ყოველთვის მათ გვერდით იდგა. უფროსებისადმი პატივისცემა მისი მთავარი მახასიათებელი იყო. ჩვენ, მშობლებს მუდამ ყურადღებით გვექცეოდა, გვეხმარებოდა შრომით საქმიანობაში, გვეფერებოდა.

მშობლები, ბებია, ძმები ვიყავით მისი ოჯახი, მან ვერ მოასწრო დაოჯახება. ფარულად უყვარდა ვიღაც, მაგრამ გამხელა არ დასცალდა, მისი ოცნებების შეცნობაც ვერ შევძელით, მაგრამ, ვიცი ოცნებობდა ლამაზი ოჯახის შექმნაზე, კარგ მომავალზე, სამხედრო კარიერაზე. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დამთავრების (ერთი თვის) შემდეგ კონტრაქტი გააფორმა, ვაზიანის მეოთხე ბრიგადაში მეტყვიამფრქვევედ მუშაობდა. მხოლოდ ერთი წელი ემსახურა სამშობლოს. მისი მონაყოლიდან ვიცით, რომ თანამებრძოლებს პატივს სცემდა და უყვარდა ისინი. თვითონაც პატივისცემას და ქებას იმსახურებდა. სამსახური საკუთარ ოჯახად მიაჩნდა. აგვისტოს ომის დაწყებამდე, ათდღიანი შვებულებით ჩამოვიდა, გაგვახარა, თვითონაც დაისვენა, იხალისა. ერაყში უნდა წასულიყო სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად. არაფერი უთქვამს, მაგრამ შემდეგ ალვიქვი, რომ ჩვეულებრივზე მეტად იყო ჩაფიქრებული...

31 ივლისს გავიდა ოჯახიდან, ცდილობდა არ შემემჩნია, მაგრამ ცუდ ხასიათზე იყო. ერაყში მიდიოდა და ჩვენი მონატრება მისთვის ძნელი იქნებოდა. წასვლის წინ დიდხანს ვეფერებოდი, მამამისი კი არ იმჩნევდა, ძმამ გააცილა სენაკამდე. 10 აგვისტოს მის საშველად მოხმობისთანავე წასულმა კახამ (ძმა) ჩამოასვენა ჩემი შვილი. ჩემსავით ბევრმა დედამ დაკარგა ნუგეში და ჩაიცვა ძაძები.

დედის განცდები ენით გამოუთქმელია. ჩემთვის იმ დღიდან დაიწყო გოლგოთა, რომელიც მოთმენით უნდა განვვლო, რადგან სხვა შვილებიც მყავს და ჩემი გოგიტას ხსოვნას უნდა ვცე პატივი. ოჯახის ტვირთი უნდა ვზიდო. გმირი დედა ხარ ალბათ, თუ საამაყო შვილის დაკარგვით მოვლენილ განსაცდელს უძლებ, ცხოვრებას აგრძელებ და აცნობიერებ, რომ ის სხვებთან ერთად სამშობლოს შეეწირა. მამამისმა ვერ გაუძლო ამ დიდ ტკივილს და გულმკვდარი მარადიულ სასუფეველში შვილთან გადასახლდა. გოგიტა ჩემთვის უპირველესად შვილია, რომელიც დიდ ტკივილთან ერთად ფარულ სიამაყესაც მგვრის. ჩემი შვილის და მასთან ერთად სამშობლოს ერთიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნა ყველას ავალდებულებს, ერთიანობა აღდგეს, მაგრამ არა ომით. მინდა მჯეროდეს, რომ სამშობლოს ერთიანობას მივაღწევთ, მინდა ჩვენმა შვილებმა მხოლოდ ქვეყნის შენებაში გამოავლინონ გმირობა, დიდი ცხოვრების გზაზე მხოლოდ სწავლითა და გარჯით გავიდნენ და არა ომით.

ნაირი ქარჩავა.

## აგვისტოს ომი—ტკივილი ჩვენი

# გმირი დედები—გმირ შვილებზე

## თითქოსდა გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას



ლევან ტურავა

ლევან ბონდოს ძე ტურავა, დაიბადა 1975 წლის 9 ივლისს, ხობის რაიონის სოფელ ხეთაში. ბავშვობაში გამოირჩეოდა წყნარი, მშვიდი ხასიათით, იყო დამჯერი და ჭკვიანი, მეგობრები ბაღის ასაკიდან შეიძინა და სიცოცხლის ბოლომდე უჩვეულო ძმაკაცები ჰყავდა. ძალიან უყვარდა ფეხბურთის თამაში და თევზაობა. პატარა ასაკიდანვე ჩხირკედელაობდა და მამის მანქანას არ შორდებოდა. სკოლაში კომუნიკაბელური და თავაზიანი მოსწავლე იყო, ასეც ახასიათებდნენ მისი პედაგოგები. სწავლით, საბაზო ასაკამდე კარგად სწავლობდა, მერე, როგორც ხდება ხოლმე, სიზარმაცე მოერია, თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა თბილისის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მალევე აირია ქვეყანაში სიტუაცია და თან სამხედრო სამსახურში მოუწია წასვლამ, ჯარში მსახურობის პერიოდში ლევანის მამა გარდაეცვალა, ვფიქრობ, აქ დამთავრდა მისი ლაღი ცხოვრება და დაიწყო დამოუკიდებელი ასპარეზი ცხოვრების რთულ და დაძაბულ გზაზე.

ლევანი გახდა ოჯახის თავკაცი და მას დაეკისრა ოჯახის რთული ჭაპანის ზიდვა. მეც და ჩემი ქალიშვილებიც მას გვერდით ვედექით (იმ დროისათვის ქალიშვილები უკვე გათხოვილები იყვნენ), გვინდოდა ლევანისთვის შეგვემსუბუქებინა ტვირთი, როგორც სულიერად ისე ფინანსურად. ლევანი მალევე დაოჯახდა და ქ. ფოთში ნავსადგურში მემანქანედ დაიწყო მუშაობა. ფოთშიც ბევრი ამხანაგი და მეგობარი შეიძინა. ლაღი ხასიათის, დაუზარელი, შრომისმოყვარე, ენერგიული ადამიანი სულ მუდამ რაღაცის ძიებაში იყო, უნდოდა ყველაფერი მოესწრო, თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, ყველა და ყველაფერი ენატრებოდა, სამეგობრო, სამეზობლო თუ მისი კოლექტივი. მის გარეშე არაფერს წყვეტდა, სიკეთის კეთებით დაუღალავს, იქაც ვერავინ დაასწრო წასვლა.

იმ ავბედით ღამეს, ნავსადგურში, თავის ოთახში მუშაობდა, როცა საზარელმა ხმამ შეაკრთო ლევანი და მისი მეგობარი... ადგილზე მისულები საშინელი სურათის მოწმენი გახდნენ. კარგა ხანს ხმას ვერ იღებდნენ, ნანახის გამო. ჩემი შვილი მეორე დღეს ცხინვალში უნდა წასულიყო, მაგრამ ვერა, ვერ შეძლო...

ლევანს დარჩა მეუღლე და ორი შვილი. დატოვა ცრემლშეუმშრალი, სიცარიელით და მონატრებით სავსე და მთელი ცხოვრება, ტკივილით მოარული დედა და დები.

ღმერთო! შენ დაიფარე ყველა მეომარი, საქართველო და ყველა ქართველი. აკმარე ქართველ დედებს ცრემლი!

**მზია ჭაავა.**

## მისი უკანასკნელი სიტყვები: „ჩემი შვილები...“



რამაზ კიტია

ძნელია ილაპარაკო იმაზე, ვინც გვერდით აღარ გყავს, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც ადამიანს გულს უმშვიდებს, ეს ის განვლილი ცხოვრებაა, რომელიც მან შენს გვერდით გაატარა... მისი ყოველი დღე, ყოველი საათი არასოდეს გავიწყდება.

რამაზი ყოველთვის გამოირჩეოდა მშვიდი, გაწონასწორებული ხასიათით, თუმცა შინაგანად ჰქონდა კეთილი იუმორი, რომელსაც მხოლოდ ახლობლებში თუ გამოხატავდა.

უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა, სკოლაში წარმატებული მოსწავლე იყო და სკოლაც წარმატებით დაამთავრა. პირველივე წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის გეოგრაფიის ფაკულტეტზე, იქაც ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტი იყო... უყვარდა წიგნების კითხვა.

ხასიათიდან ყველაზე მეტად გამოვარჩევდი მის თავმდაბლობას, სიკეთეს, ეს მის ყოველდღიურ ცხოვრებაში აისახებოდა. ეს განსაკუთრებით მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა შესამჩნევი, როცა ქუჩაში მაჩერებენ და მიყვებიან მის კეთილ საქმეებს, საოცარი სიამაყის განცდა მეუფლება.

არასოდეს საუბრობდა პირადულზე, მისი გადაწყვეტილებაც ძალიან მოულოდნელი იყო...

განსაკუთრებით მინდა გამოვყო დედა-შვილური ურთიერთობა, დიდ პატივს სცემდა დედას, და დედის აზრი მნიშვნელოვანი იყო მისთვის, დღე არ გავიდოდა, სამსახურში ყოფნისას არ დაერეკა და არ მოვეკითხე. მისი გარდაცვალების წუთებიც პირველმა დედამ შევიგრძენი. დაუჯერებელია, მაგრამ იმ დილით მამის გარდაცვალების მეორმოცე დღე იყო. მთხოვა მეგობრებთან წასაღებად საგზალი გამომეწყო. დავლოცე, თავზე ხელი დავადე, რამაზმა უკანასკნელად შემომხედა და მითხრა დე, არ ინერვიულო, თუ რაღაც მოხდებაო... გზაზე მიმავალს, მეზობელი დაემგზავრა, უთქვამს, ჩემს დედას რა ეშველებაო, მაგრამ ერთი მიზანი მაქვს, ჩემს შვილებს ცუდი მამა არ ეყოლებათო, შეეძლებათ იამაყონ ჩემითო... აფხაზეთის ომს გადავურჩი, ამ ომში ნეტა რა მოხდებაო.

განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა დასთან. ერთად გატარებული არაჩვეულებრივი ბავშვობა, ბედნიერი წუთები... დას იფიცებდა, დის წინათგრძნობაც უნდა აღინიშნოს, იმ დღეს სანამ ეს უბედურება დატრიალდებოდა, დაბადების დღე მიულოცა ძმას, ჰკითხა ეკა, დღეს რომ არ მაქვს დაბადების დღეო, რატომღაც 2 დღით ადრე მიულოცა, რამაზის გარდაცვალების მესამე დღეს 33 წელი შეუსრულდებოდა...

თავისი ოჯახი, მეუღლე შვილები ყველაფერზე წინ ეყენა. მისი უკანასკნელი სიტყვები კი ამით დამთავრდა „ჩემი შვილები...“

წელს გიორგი და ლუკა სკოლაში წავლენ, რაზეც რამაზი ყოველთვის ოცნებობდა, თუმცა უმამოდ.

**როზა კიტია.**

## სხვათა სიცოცხლე იხსნა

1983 წლის 12 დეკემბერს სოფელ შუა ხორგაში დაიბადა ტყუპი ძმა—ზვიადი და ზაზა დათუაშვილები, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. მათ ჰყავდათ 1 წლით უფროსი ძმა ლაშა. როცა ბიჭები წამოიზარდნენ სამივენი ტყუპებივით იყვნენ.

ზვიადი პატარაობიდანვე განსხვავებული ხასიათის იყო. მას ძალიან ეცოდებოდა მასზე სუსტები და უძლურები, გამოირჩეოდა კეთილი ხასიათით. შეეძლო უკანასკნელი სამოსი გაეხადა და უქონელთათვის მიეცა. ლაშას ნათლია გოგონა იხსენებდა:—„ზვიადიმ პირველი ხელფასი რომ აიღო, შარვალი მიყიდა, ობოლი ვიყავი და ვეცოდებოდი. ის იყო ჩემი პატრონი, ზვიადის იმხელა იმედი მქონდა, რომ თავს ყველგან უშიშრად ვგრძნობდი. როცა ფოთი დაიბომბა, ღმერთს ვთხოვდი, ოღონდ ზვიადი გადარჩენილიყო“.

პირველი ცხრა კლასი ძმებმა შუა ხორგის საშუალო სკოლაში დაამთავრეს, შემდეგ ფოთის ლიცეუმში განაგრძეს სწავლა, მერე კი უნივერსიტეტში, საბანკო საფინანსო განხრით. გოგამ სტუდენტობის პარალელურად მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჯარს არც საჭმელი ჰქონდა და არც ჩასაცმელი. ზვიადის სისტემატურად მიჰქონდა სახლიდან საჭმელი და ჩასაცმელი ჯარისკაცებისათვის. „ბიჭები უწინდოდ, შლოპანსებით დგანან სადარაჯოზე, თოვლში და ყინვაშიო“,—ეცოდებოდა ისინი.

ზვიადს ნებისმიერ ადამიანთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა, დიდთან დიდი იყო და პატარასთან—პატარა. არ უყვარდა ამპარტავნები, გაუტანლები და მატყუარები. „კაცი უნდა იყოს კაცურიო“, იტყოდა ხოლმე.

ძალიან უყვარდა პოეზია. მისი საყვარელი პოეტები იყვნენ: გალაკტიონი, ვაჟა, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ომარ ხაიამი. თვითონაც შესანიშნავად კითხულობდა ლექსებს.

პროზაში—სამაგიდო წიგნად ჰქონდა ლევან სანიკიძის „სავედრებელნი გიორგი ათონელისა“.

ზვიადი კარგად ხატავდა, ცეკვავდა და მღეროდა. მეგობრებში ყოველთვის შეუცვლელი თამადა იყო. მათ სუფრაზე ყოველთვის ბატონობით მიმართავდა. რომ ვკითხე ბავშვებს ბატონობით რატომ მიმართავ მეთქი, მიპასუხა:—სუფრაზე მიმართვისა და ქცევის წესებს ვასწავლიო.

მისი საყვარელი მომღერალი იყო ჰამლეტ გონაშვილი, სიმღერა კი „წინწყარო“.

ახალგაზრდები და ხანდაზმულები ზვიადის ფეხზე წამოდგომით და მოწიწებით ესალმებოდნენ, მამამისმა ჰკითხა რა დაიმსახურე ასეთი ფოთელებთანო. ზვიადიმ ჩაიცინა და უპასუხა:—როგორც შენ გინდა მოგექცნენ, შენც ისე მოექეცი სხვებსო. ფოთში ზვიადის ქალაქის კოლორიტს ეძახდნენ. მისი ძმაკაცის დედამ მითხრა:—მეზობლებში მეამაყება ზვიადი რომ ჩემი შვილის ძმაკაციაო.



ზვიად (დავით) დათუაშვილი

იყო ძალიან მოწერიგებული და მის ირგვლივ მყოფთაც აიძულებდა წესრიგში ყოფილიყვნენ.

ზვიადის დაღუპვის შემდეგ თანამშრომლები ამბობდნენ: სახლი რომ უსახურავოდ დარჩეს ისე დავრჩითო. გვარში—დათუაშვილების ხერხემალს ეძახდნენ.

გემზე ყოფნისას ბიჭები ოცნებობდნენ მილიონი, რომ მოეგოთ რას გააკეთებდნენ. ზვიადის უთქვამს, მილიონი რომ მომცა ჩემს სოფელში ეკლესიას ავაშენებდი და დარჩენილ ფულს ქვრივ-ობლებს დავურიგებდიო. მისი მიზანი სოფელში ტაძრის აშენება იყო. მე ისეთი წინაპრები მყავდა, რომ ეს უნდა შევძლოო. სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში უნდა წასულიყო და ამბობდა „დაბრუნებისას დიდი ხელფასი მექნება და ეკლესიის აშენებას შევძლებო“.

უცნაური წინათგრძნობა ჰქონდა. ბავშვობიდან მოყოლებული ყურში ვიღაც „ტყვიას“ ჩამძახისო. ბოლო ერთი წელიწადი მოილოცა მცხეთა, სვეტიცხოველი, თეკლათის დედათა მონასტერი—იქ წინაპრების საფლავები მოვინახულეო.

დედის დღეზე—3 მარტს საჩუქრად მომიტანა სანთელი, დაუჯდომელის კრებული და ღვთისმშობლის ხატი. 8 აგვისტოს ფოთის დაბომბვისას ამ ხატთან მივედი საშველად, მაგრამ ხატი თითქოსდა გაშავებულიყო, ვერ შევხედე ისეთი ბნელი მომეჩვენა და მართლაც დაბნელდა ჩემთვის იმ დღიდან.

ზვიადის სურვილი, სოფელში ეკლესია ყოფილიყო აშენებული, შევუსრულეთ. წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია უკვე გადახურვის პროცესშია. ღმერთმა ქნას სულ ნათლობები, ჯვრისწერა და წირვა-ლოცვა ყოფილიყოს ზვიადის სახელზე აშენებულ ეკლესიაში.

ჩემი ზვიადი, საკუთარი ბეჭებით გადაეფარა ტყვიებს, რომ სხვების სიცოცხლე ეხსნა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი და ყველა დაღუპული ჯარისკაცის სული. წმინდა ელია წინასწარმეტყველი ყოფილიყოს ყოველი მორწმუნე ქართველის მფარველი.

ყველა დედას ვუსურვებ ზვიადისნაირი ერთი შვილი მაინც გაეზარდოს.

**მარინა ჯგერენაია.**

# ახალი სასწავლო წელი უფრო ნაყოფიერი იქნება



**დამთავრდა 2012–2013 სასწავლო წელი. შეჯამდა ამ სასწავლო წლის მუშაობის შედეგები. საკმაოდ დაძაბული და გადატვირთული სამუშაო რეჟიმის შემდეგ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრში მოხდა წლიური შედეგების გაანალიზება. სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ხათუნა გერგაია.**

*_მოგესალმებით!*

***მინდა გითხრათ, რომ რამდენიმე დღეში გამოცხადდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, ამიტომ ვისარგებლებ შემთხვევით და წინასწარ ვულოცავ სტუდენტობას ჩვენი საჯარო სკოლის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ჩაირიცხებიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მჯერა, ისინი მეტი წარმატებებით გააგრძელებენ განათლების მიღებას.***

***როგორც ყოველთვის, ახლაც ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი და საჯარო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ახალგაზრდობას მისცენ კვალიფიციური განათლება, აღზარდონ ისინი ქართული კულტურის მატარებლებად, საზოგადოების ღირსეულ წევრებად, ყველაფერი ამის მისაღწევად კი გარკვეული მუშაობის წარმართვაა საჭირო, დღეს, ამ წერილით შევეცდები გაგაცნოთ ჩვენი საჯარო სკოლების დღევანდელი მდგომარეობა, აღვნიშნო და გამოვყო ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები, რომელიც ტიტანური შრომის შედეგად მოვიპოვეთ.***

## ინფრასტრუქტურა

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 9 საჯარო სკოლას: 1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის თორსის საჯარო სკოლაში (50 000ლ.) პირველ სართულზე გამოიცვალა ფანჯრები და ორივე სართულზე საკლასო ოთახებს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი. 2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში (30 000ლ.) პირველ სართულზე ჩაისვა ფანჯრები და კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა დერეფანს. 3. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საჯარო სკოლა (60 000ლ.) გადაიხურა. 4. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ხორგის საჯარო სკოლაში (20 000ლ.) რეაბილიტაცია ჩაუტარდა გარე ფასადს. 5. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლა (60063,08ლ) გადაიხურა და რეაბილიტირებულ იქნა გარე ფასადი. 6. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში (15 340,76ლ.) მოხდა დერეფნის რეაბილიტაცია და ფასადის ერთი ნაწილის შეღებვა. 7. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლაში (52030,4ლ.) დერაფანს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი და რეაბილიტირებულიქნა გარე ფასადი. 8. სსიპ ქალაქ ხობის N2 საჯარო სკოლაში (8735ლ.) მოხდა დერეფნის რეაბილიტაცია. 9. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისქურის საჯარო სკოლაში (25 752,34ლ.) დერეფანში ჩატარდა კოსმეტიკური სამუშაოები და რეაბილიტირებულიქნა გარე ფასადი.



რამდენიმე საჯარო სკოლამ საკუთარი ბიუჯეტის ეკონომიის ხარჯზე გასწია შიდა სარემონტო სამუშაოები (გურიფულის, ნოჯიხევის N1 და ძველი ხიბულის საჯარო სკოლები).

2013 წელს სარემონტო სამუშაოები დაგეგმილია ცხრა საჯარო სკოლაში, სარემონტო სამუშაობის სავარაუდო ღირებულებაა 474 ათასი ლარი. სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და სამეცნიერო სააგენტომ უკვე გამოაცხადა ტენდერი სარემონტო სამუშაობზე: ხობის N1 საჯარო სკოლა – 90 ათასი ლარი, პატარა ფოთის საჯარო სკოლა– 73 ათასი ლარი, საჯიჯაოს №2 საჯარო სკოლა – 60 ათასი ლარი, ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლა – 80 ათასი ლარი, ხობის N 2 საჯარო სკოლა – 22 ათასი ლარი, ზემო ქვალონის საჯარო სკოლა –52 ათასი ლარი, ხეთი საჯარო სკოლა 21 ათასი ლარი, ბიის საჯარო სკოლა –28 ათასი ლარი, პირველი მაისის საჯარო სკოლა –38 ათასი ლარი.

ასე, რომ რამდენიმე საჯარო სკოლა ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდება.

## ტრანსპორტირება

მოგეხსენებათ, ოპტიმიზირებული სკოლის მოსწავლეთა სკოლამდე მიყვანას უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობა, წელს განათლების სამინისტრომ დააფინანსა მოსწავლეთა ტრანსპორტირება. ახალი სასწავლო წლიდან ტრანსპორტი ყველა სკოლას მოემსახურება და მის დაფინანსებას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## *სკოლის მმართველობა – სამეურვეო საბჭო, დირექტორები*

წელს მთელ საქართველოში საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს რიგით მესამე არჩევნები ჩატარდა (პირველი არჩევნები ჩატარდა 2006 წელს).

სამეურვეო საბჭო სკოლის მმართველობის უმაღლესი ორგანოა. მის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მოსწავლეთა მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენელი.

მუნიციპალიტეტის 26–ვე საჯარო სკოლაში არჩევნებმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა.

მოგეხსენებათ სკოლების უმრავლესობას ჰყავდა კონკურსგავლილი და სამეურვეო საბჭოს მიერ 6 წლის ვადით არჩეული დირექტორები. წელს მათ ხელშეკრულების ვადა ამოეწურათ. აქედან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე გამოაცხადა საჯარო სკოლის დირექტორების კონკურსი. ელექტრონული რეგისტრაცია დაწყებულია. ტესტირება სავარაუდოდ, 21-22 აგვისტოს ჩატარდება. კონკურსის პირობები შეგიძლიათ იხილოთ სამინისტროს ვებ გვერდზე. ყველა მსურველს, რომელიც საკონკურსო პირობებს აკმაყოფილებს, შეუძლია მოსინჯოს საკუთარი ძალები ვაკანტურ თანამდებობაზე

## *ხელფასების ზრდა*

განხორციელდა დღეს არსებული მდგომარეობის შეფასება; შეიქმნა საჯარო სკოლის პერსონალის ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია სკოლის პერსონალისა და მათი ანაზღაურების შესახებ; განხორციელდა სკოლების კატეგორიზაცია, სკოლის მოსწავლეების, კლასების რაოდენობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით; არსებული რეალობიდან გამომდინარე, სკოლები დაიყო კატეგორიებად; თითოეულ კატეგორიაში განისაზღვრა ის საშტატო თუ არასაშტატო ერთეულები, რომლებიც უნდა ჰყავდეს სკოლას; ასევე თითოეულ კატეგორიაში განისაზღვრა ის მინიმალური ხელფასის ოდენობა, რაც შეიძლება მიეცეს პირს; აქედან გამომდინარე აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განხორციელდა სკოლის დაფინანსების ვაუჩერული სისტემის ცვლილების პროექტის შექმნა; აქედან გამომდინარე გაიზრდება საჯარო სკოლებში ვაუჩერის და საბაზო დაფინანსების ოდენობა; დაფინანსების გამოანგარიშებისას სკოლას დაემატება დაფინანსება სოფლის, დაბის და მთის ფაქტორის გათვალისწინებით; აღნიშნული ცვლილებისათვის მიმდინარე წელს დაიხარჯება 6 მლნ ლარზე მეტი; საჯარო სკოლის დირექციას, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს სასწავლო წლის დაწყებიდან გაეზრდებათ თანამდებობრივი სარგო მაგალითად: საჯარო სკოლებში საშუალო თანამდებობრივი სარგო შეადგენს 190 ლარს; სექტემბრიდან საჯარო სკოლებში საშუალო თანამდებობრივი სარგო მიაღწევს 280 ლარს; სკოლის დირექცია, ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალის თანამდებობრივი სარგო საშუალოდ გაიზრდება 35%-45%-ით;

სკოლებში გაიზრდება მინიმალური თანამდებობრივი სარგო, რომელიც არ იქნება საარსებო მინიმუმზე ნაკლები და ამ ეტაპზე მიაღწევს 150 ლარს.

საშტატო განრიგში სახელფასო ფონდი და საშტატო ერთეული შეიცვლება ახალი სასწავლო წლიდან.

## მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები

2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე საგანმანათლებლო რესურსცენტრში დარეგისტრირდა 274 მასწავლებელი. მათ მიერ შევსებული განაცხადის ფორმები და წარმოდგენილი დოკუმენტები, დებულების შესაბამისად, გადაეგზავნა გამოცდების ეროვნულ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრებს. გამოცდების შედეგები მალე გამოცხადდება. კიდევ არაერთი სერთიფიცირებული მასწავლებელი შეემატება ხობის მუნიციპალიტეტის პედაგოგიურ გუნდს.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად დარეგისტრირებულ მასწავლებელთათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სახლმა არაერთი ტრენინგი ჩაატარა, როგორც პროფესიულ უნარებში ასევე საგნობრივი კომპეტენციის დონის ასამაღლებლად. წელს მასწავლებელთა სახლმა სრული კომფორტი მოუწყო ხობელ პედაგოგებს. თითქმის ყველა საგანში ადგილზე ჩატარდა ტრენინგი გრძელვადიანი მოდულით. წინა წლებში ტრენინგის მოდული განისაზღვრებოდა 18-24 კრედიტ საათით, წელს თითოეული ტრენინგის მოდული განისაზღვრა 72-86 კრედიტსაათით. მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა გამოთქვამდა სრულ კმაყოფილებას. იმედი მაქვს, გადამზადების მაღალი ხარისხი საგამოცდო შედეგებზე აისახება.




## *პროგრამები, პროექტები*

1) მუნიციპალიტეტის ხუთი საჯარო სკოლა უკვე მესამე წელია ჩართულია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის (USAID, PH international, ათინათი) მიერ ორგანიზებულ სამოქალაქო ფორუმში „სხვადასხვა თაობა–საერთო მომავალი“. პროგრამის ფარგლებში არაფორმალური განათლების კუთხით მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა გაიარეს არაერთი საინტერესო ტრენინგი და განახორციელეს საგანმანათლებლო პროექტები.

2) 2013 წელს English language through Civic Education (ELCE) Program.განახორცილა პროგრამა Georgetown University Center for language Education and Development .ტრენერი პიტერ ბოჰანი ინგლისური ენა სამოქალაქო განათლების გამოყენებით. პროექტში ჩაერთო ხობის N1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის ორი მასწავლებელი: ლელა ხითარიშვილი და ქეთევან ქაჯაია და ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლის მასწავლებელი ნანა ლიტვინენკო. მათ გაიარეს პროგრამის ათი მოდული, ყოველკვირეული სამოდელო გაკვეთილების ჩვენებით და დეტალური გარჩევით. აიღეს შესაბამისი სერთიფიკატები, ხოლო პროგრამის ფარგლებში ქვალონის N 1 საჯარო სკოლის ინგლისურის მასწავლებელი ნანა ლიტვინენკო გახდა ELCE- ტრენერი. ეს პროფესიული კუთხით საკმაოდ დიდი წარმატებაა და მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო მას, როგორც პიროვნულად, ისე სკოლას, რადგან ვთვლი, რომ თითოეული მასწავლებლის მიღწევა, სკოლის წარმატებაა.

3) მოსწავლეთა შორის ძალიან პოპულარული გახდა ევრაზიის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „ახალგაზრდული იდეა“. მოსწავლეები თავად წერენ პროექტებს და იღებენ რეალურ დაფინანსებას 500 დოლარის ოდენობით, თითოეულ პროექტზე. გარდა ამისა სისტემატურად გადიან ტრენინგებს. წელს ორი მათგანი პროექტის ფარგლებში საზღვარგარეთ წავიდა, ხობის N1 საჯარო სკოლის მოსწავლე მაია კვიკვინია –თურქეთში, ხოლო ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლე ხატია ქარდავა– სომხეთში.

4) მათემატიკურ ოლიმპიადა „ევერესტი“-ს მე-2 ტურში ხობის რაიონის დონეზე საუკეთესო შედეგები პირველი მაისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა აჩვენეს. მე-3 კლასელმა ქეთევან გაბრავამ (39 ქულა) და მეორეკლასელმა თეიმურაზ კვიკვინიამ (42 ქულა).

5) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის შესახებ, შუა ხორგის საჯარო სკოლა ჩართულია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „ჯიპრაიდის“ დაწყებითი განათლების ოთხწლიან პროექტში, რომელიც ითვალისწინებს I-VI კლასის ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებელთა პერმამენტულ გადამზადებას. წელს ამ პროექტის ფარგლებში სკოლის მასწავლებლებს ჩაუტარდათ არაერთი ტრენინგმოდული. ამ პროექტის ფარგლებში გამოცდილი ტრენერები ესწრებოდნენ გაკვეთილებს და დეტალურად განიხილავდნენ მასწავლებლებთან ერთად. ამასთან, სკოლას ორგანიზაციამ საჩუქრად გადასცა ტექნიკა. შუა ხორგის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა საინტერესო ორიგინალური ნამუშევრით აღაფრთოვანეს პროგრამის ტრენერები. ნამუშევარი გამოიფინა ჯიპრაიდის მუზეუმში. მომავალი წლიდან ამ პროექტში ჩაერთვება მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლა. ეს არის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი და მოხარულნი ვართ, რომ მომავალი წლიდან ორგანიზაცია შევა კიდევ რამდენიმე სკოლაში და მთელი წლის განმავლობაში იზრუნებს მასწავლებელთა განვითარებაზე.

## *სიახლე!*

მოგეხსენებათ, წელს საჯარო სკოლის ყველა მოსწავლეს სახელმძღვანელო უსასყიდლოდ გადაეცემა. დღეის მონაცემებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა მოსწავლეებისათვის განკუთვნილი უფასო წიგნების 80 % უკვე ჩაიბარა და სკოლებს გადასცა (დაახლოებით 29-ათასი ერთეული).

**ეს არის ის ძირითადი საკითხები, რისი აღნიშვნაც მინდოდა, ამის მიღმა არსებობს არაერთი კონკურსი, არაერთი სამოდელო გაკვეთილი, არაერთი ღონისძიება, რომელშიც დევს სკოლის, მასწავლებლისა და მოსწავლის უდიდესი შრომა. მადლობა მათ ამ გაწეული მუშაობისათვის. ახლა გაცილებით მშვიდი პერიოდია, ყველანი გამოცდების შედეგების მოლოდინში ვართ. წარმატებებს ვუსურვებ ყველა აპლიკანტს. ახალ სასწავლო წელს ახალ გამოწვევებს ველოდებით.**

**იმედია, მომავალი სასწავლო წელი უფრო ნაყოფიერი იქნება ხობის საგანმანათლებლო სპექტრისთვის.**

***მოამზადა მანანა შულაიამ.***

4<<<<<<<<<<<<<<<

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 56 | ყულევი | ყულევი | 9 380 | სოფელ ყულევში არხების ამოწმენდის სამუშაოები |
| | **ჯამი** | | **9 380,00** | |
| 57 | **შუა ხორგა** | გამოღმა შუა ხორგა გაღმა შუა ხორგა | 10 000 | შუა ხორგის თემის სოფელ გამოღმა შუა ხორგაში "ილია წინასწარმეტყველის" სახელობის მშენებარე ეკლესიის ეზოს შემოღობვა-კეთილმოწყობის სამუშაოები |
| 58 | | გამოღმა შუა ხორგა | **11 696** | **შუა ხორგის თემში სოფელ გამოღმა შუა ხორგაში ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები** |
| 59 | | გაღმა შუა ხორგა | 10000 | შუა ხორგის თემის სოფელ გამოღმა შუა ხორგაში საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვის სამუშაოები |
| 60 | | ყორათი | 7 580 | შუა ხორგის თემის სოფელ ყორათში გზის ორმული შეკეთება |
| | **ჯამი** | | **39 276,00** | |
| 61 | ძველი ხიბულა | ძველი ხიბულა | 4060 | სოფელ ძველ ხიბულაში სანიაღვრე არხების ამოწმენდა |
| 62 | | ძველი ხიბულა | 12500 | სოფელი ძველ ხიბულაში საქანთარიოს უბანში საყანე ფართობებთან დამაკავშირებელი ხიდბოგირის მოწყობა |
| 63 | | ძველი ხიბულა | 1900 | სოფელი ძველი ხიბულის საბავშვო ბაღში სამზარეულოს იატაკის გამოცვლა |
| | **ჯამი** | | **18460,00** | |
| 64 | **ხამისქური** | ხამისქური | 8200 | ხამისკურის თემის სოფელ ხამისკურში ბაღის შენობის ტერიტორიის კეთილმოწყობა |
| 65 | | საკუკაო | 12600 | ხამისკურის თემის სოფელ საკუკაოში საყანე ფართობების შემოღობვის სამუშაოება |
| 66 | | საკუკაო ხამისქური საქირიო | 9975 | ხამისკურის თემის სოფელ საკუკაოში წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები |
| 67 | | საქირიო | 10800 | ხამისკურის თემის სოფელ საქირიოში საყანე ფართობებთან მისასვლელი ხიდის მშენებლობა |
| 68 | | საქირიო | 4100 | ხამისკურის თემის სოფელ საქირიოში საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია |
| | **ჯამი** | | **45675,00** | |
| 69 | ხეთა | ლარჩვა | 7800 | ხეთის თემის სოფელ ლარჩვაში ცენტრის კეთილმოწყობა |
| 70 | | ლარჩვა | 5800 | ხეთის თემის სოფელ ლარჩვაში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები |
| 71 | | ლარჩვა | 10000 | ხეთის თემის სოფელ ლარჩვაში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები |
| 72 | | ნოჩხონი | 14000 | ხეთის თემის სოფელ ნოჩხონში სანიაღვრე არხის ამოწმენდა |
| 73 | | ოხვამეკარი ლარჩვა ნოჩხონი | 25326 | ხეთის თემის სოფელ ოხვამეკარში რკ/ბეტონის ხიდბოგირის და გზის მოწყობა |
| 74 | | წინაგოლა | 14042 | ხეთის თემის სოფელ წინაგოლაში სანიაღვრე არხის ამოწმენდა |
| 75 | | საქირიო | 15500 | ხეთის თემის სოფელ საქირიოში მინი სპორტული მოედნის მოწყობა |
| 76 | | საქირიო | 3000 | ხეთის თემის სოფელ საქირიოში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები |
| | ჯამი | | **95468,00** | |

**ხობის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.**

**P.S. სამუშაოს დასრულების ბოლო ვადაა 2013 წლის აგვისტო.**

ღვაწლმოსილი

# მიყვარხართ, მასწავლებელო!



**რუბრიკის სტუმარია ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის გერმანული ენის ღვაწლმოსილი პედაგოგი ქალბატონი ინეზა წურწუმია, რომელიც ნახევარი საუკუნეა, რაც სკოლაში მუშაობს და მრავალი თაობის აღმზრდელია.**

***ქალბატონო ინეზა, გაიხსენეთ, როგორ დაიწყო თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა?***

–ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტის (სპეციალობით გერმანული ენის მასწავლებელი) დამთავრებისთანავე 1966 წლის 2 ავისტოდან ვმუშაობ ქ. ხობის №1 საჯარო სკოლაში, გერმანული ენის მასწავლებლად. წლების განმავლობაში ვიყავი დირექტორის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, მეთოდისტი. ვარ უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი.

***ძნელია გამორჩევა, მაგრამ გახსენდებათ თუ არა, გამორჩეული მოსწავლეები და თქვენს კვალს გაჰყვა თუ არა რომელიმე მათგანი?***

–47 წელია სკოლაში ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე მრავალ თაობას გაუვლია ჩემს ხელში, ბევრი ჩემს გზას გაჰყოლია და დღეს წარმატებული სპეციალისტები და პედაგოგები არიან, სულ 30-მდე. შემიძლია ზოგიერთების გამოყოფა, რომელთაც უმაღლესში სწავლისას სტაჟირება გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაიარეს: ზაირა ზაბიროვა, ანჟელა ნადარაია, შორენა სიხარულია და სხვები.

გამორჩეული მოსწავლეებიც მახსოვს და გამორჩეული კლასებიც. ჩემი პირველი სადამრიგებლო კლასის 1975-1976 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები: ზურაბ ლოლუა, გივი შენგელია, დავით ჩაჩიბაია, გია წურწუმია, ზურაბ ნაკაშია, სერგო ალანია, მანანა მატუშევსკაია, ნონა ნარსია, პეტრე ნასარაია, ბელა იოსავა, ფრიდონი ბერაია და სხვები. მიხარია, რომ ყველა მათგანი საზოგადოების აქტიური წევრები და დაფასებული პიროვნებებია. გამორჩეული მოსწავლეებიდან კოტე ბახიას, ხვიჩა შონიას, ზაზა კალანდიას, მარიკა ბუკიას, ნატო გერგაიას, ზაზა ჯობავას, შოთა სირაძეს, შორენა სიხარულიას და მარიკა ჯანჯღავას გამოვყოფდი, მაპატიონ სხვებმა, მერწმუნეთ ასეთები ამ ხნის განმავლობაში ბევრი იყო.

***როგორც ვიცი, რაიონში ცნობილი მშობლები გყავდათ, გვიამბეთ მათზე.***

–დედ-მამა პედაგოგები იყვნენ, ნამდვილად გამორჩეულნი. დედა–მარიამ ილიას ასული კოკაია-წურწუმია დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო. ხობელი მშობლები გაიგებდნენ თუ არა გაისად მარო მასწავლებელი იქნება პირველ კლასშიო, ბავშვებს „უნახავდნენ" და მხოლოდ იმ წელს შეჰყავდათ სკოლაში.

მამა–არკადი ესტატეს ძე წურწუმია პირველი ხორგის საშუალო სკოლის დირექტორი და გეოგრაფიის მასწავლებელი იყო. წლების განმავლობაში სკოლისა და ხორგელი მოსახლეობის თავგადაკლული პატრიოტი გახლდათ. შემდეგ კი განათლების განყოფილების მეთოდისტი, სპეციალობით გეოგრაფ-ისტორიკოსი. საკუთარ თავზე და მშობლებზე საუბრით თავს არ მოგაწყენთ. ორივეს ხობის საზოგადოება აფასებდა, დღესაც ახსოვთ და იგონებენ. ახალგაზრდების აღზრდის საქმეში, მათმა უანგარო სიყვარულმა განაპირობა ჩემი სპეციალობის არჩევა...

***მოკლედ გვიამბეთ, თქვენი ქალიშვილის შესახებ?***

–მყავს ერთადერთი ქალიშვილი ქეთევან ქირია, ქ. ხობის №1 საშუალო სკოლის დამთავრებიდან დღემდე მას ძალზე მდიდარი შრომითი ბიოგრაფია აქვს. ამჟამად ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტია. ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟიშვილი.

***როგორ ფიქრობთ, რა „უნარ-ჩვევებს" უნდა ფლობდეს პედაგოგი?***

–პედაგოგი პირველ რიგში უნდა იყოს კომუნიკაბელური, საგნის პროფესიონალი და ბავშვების მოსიყვარულე. უნდა გააჩნდეს პროგრამის მარტივად მიწოდების უნარი, კლასის მართვის საფუძვლები, ასევე, გაკვეთილის დროის მართვის პროცესები და ურთიერთთანამშრომლობა, ძირითადად ამას გამოვყოფდი.

***როგორც ღვაწლმოსილ პედაგოგს, რით გეხმარებათ სახელმწიფო?***

–არაფრით, რაც რეგალიები გაგვაჩნდა, სამწუხაროდ, ისიც მოგვიხსნეს.

***ზოგადად, რას იტყვით თქვენს კოლექტივზე და რა სურვილები გექნებოდათ მათ მიმართ?***

–ჩვენი კოლექტივი ანუ ხობის №1 საშუალო სკოლა ცნობილი იყო არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ გამორჩეული იყო რესპუბლიკაში. ძალზე ცნობადი კადრებით იყო დაკომპლექტებული. მწყინს, რომ შეცვლილია სკოლაც და პედაგოგთა რაოდენობაც. ორი წლის წინ, ერთი ხელის მოსმით, 24 კადრი გაუშვეს სკოლიდან, მათ შორის პროფესიონალები, არ მინდა გული დავწყვიტო მათ და დავასახელო.

ახლა სკოლა, ძირითადად ახალგაზრდა, მზარდი დირექციითა და პედაგოგითაა დაკომპლექტებული, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მოსწავლეთა ხარისხიანი სწავლა-განათლებისათვის. ერთადერთი მე შემოვრჩი სკოლას მოჰიკანად, ძველი თაობიდან. ჩემი სურვილი იქნება, ჩემი სკოლის ახალგაზრდულ კოლექტივს განემტკიცებინოს სკოლის ღირსება და სახელი

***რაზე გტკივათ გული?***

–მწყინს და ძალიან გულდაწყვეტილი ვარ იმაზე, რომ სკოლაში თითქმის ამოღებულია გერმანული ენის სწავლება. 2012-2013 სასწავლო წელს სულ ხუთი აკადემიური საათი იყო და ასევე ძალიან შემცირებულია რუსული ენის სწავლება. სულ 15 აკადემიური საათით განისაზღვრება. საწყენია ისიც, რომ პენსიაც გათანაბრებულია იმათთან, ვისაც ერთი დღეც არა აქვთ ნამსახურები.

***ინეზა მასწავლებლის დღემდე აუხდენელი ოცნება?***

–აუხდენელი სურვილების მეტი რა მაქვს, მითუმეტეს დღევანდელ პირობებში. გამოყოფა აქაც შეიძლება: გერმანიაში მოგზაურობა, დამსახურებული პენსიით უზრუნველყოფა.

***და ბოლოს, რას უსურვებდით ხობელებს?***

–ხობელებს ვუსურვებდი ნათელ მომავალს, ერთიან საქართველოში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას, დემოგრაფიულ ზრდას, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემას.

***ესაუბრა ჯემალ ღამბაშიძე, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი.***

# „მიყვარს ჩემი პროფესია"

***მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სამართალდამცავ სტრუქტურებში, არაერთი სუსტი სქესის წარმომადგენელს შენიშნავთ, საქართველოშიც დღეს ეს იშვიათობას არ წარმოადგენს.***

***ჩვენი სტუმარია შსს ხობის პოლიციის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ქალბატონი ხათუნა (ხატია) ესებუა, რომელიც მიუხედავად დატვირთული დღის რეჟიმისა, ინტერვიუზე დაგვთანხმდა.***




***მოკლედ გვიამბეთ თქვენი გავლილი გზის შესახებ.***

–პროფესიით იურისტი ვარ. რამდენიმე წელი ვიმუშავე სამოქალაქო პირად ხობის პოლიციის რაიონულ სამმართველოში, ხოლო 2012 წლის დეკემბერში გავხდი უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი.

***ხათუნა, ალბათ დამეთანხმებით, რომ ძალიან საპასუხისმგებლოა სამართალდამცავ სტრუქტურაში მუშაობა, მით უფრო ქალისთვის?***

–რა თქმა უნდა, საპასუხისმგებლოა, ყოველდღიურად გიწევს ხალხის სამსახურში ყოფნა, მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ეს არ არის ადვილი, მით უფრო ქალისთვის.

***როგორ შეხვდნენ ოჯახის წევრები თქვენს გადაწყვეტილებას?***

–მყავს დედა და და, მათგან წინააღმდეგობა არ შემხვედრია, პირიქით, გვერდით მედგნენ და მოხარულნი იყვნენ ჩემი გადაწყვეტილებით, ვინაიდან იციან ჩემი ხასიათი და შესაძლებლობები.

***თქვენი აზრით, რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს ადამიანი, რათა იგი მოხვდეს სამართალდამცავ სტრუქტურებში?***

–ვფიქრობ, პირველ რიგში იგი უნდა იყოს სამართლიანი, კომუნიკაბელური, გააჩნდეს პასუხისმგებლობის გრძნობა, ზოგადად ყველა სფეროში უნდა იყოს გათვითცნობიერებული.

***ალბათ ღამისთევაც ხშირად გიწევთ, როგორ უძლებთ ამ დატვირთულ რეჟიმს?***

–ძალიან ხშირად მიწევს ღამისთევა. ვუძლებ, რადგან მიყვარს ჩემი პროფესია და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

***როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?***

–ამჟამად ვარ დასაოჯახებელი. ზოგადად „დაქორწინებული" ვარ პოლიციაზე (იცინის).

***როგორი უნდა იყოს თქვენი მეორე ნახევარი?***

–მთავარია, ერთმანეთი გვიყვარდეს, შეეგუოს ჩემი დატვირთულ დღის გრაფიკს და ამასთან ერთად, ღირსეული და სამართლიანი პიროვნება იყოს.

***და ბოლოს, მოგწონთ ის, რასაც აკეთებთ?***

–რა თქმა უნდა მომწონს, უფრო სწორედ მიყვარს ხალხის სამსახურში ყოფნა და სიმართლის სადარაჯოზე დგომა.

***გისურვებთ წარმატებებს!***

***სალომე კვარაცხელია, ილიას სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი.***

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №1, და №2 დანართების შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე და №3 დანართის შესაბამისად სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემაზე.**

**დანართი№1**

| № | დასახელება | მდებარეობა | რაოდენობა | ერთეულის გასაყიდი ფასი | „ბე“ 10% | ბიჯი 10% | მონაწილის ბილეთი | შემოსულობების სახაზინო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფუნდამენტის ბლოკი ერთ მეტრიანი | ქვ .ქვალონი | 80<br>48 | 20.40<br>10.32 | 2.04<br>1.03 | 2.04<br>1.03 | 20 | 300403377 |
| 2 | წისქვილი | ქარიატა | 1 | 136 | 13.6 | 13.6 | 20 | 300403344 |
| 3 | წისქვილი | ქ. ხობი ბარათაშვილის ქუჩა | 1 | 57.60 | 5.76 | 5.76 | 20 | 300403344 |
| 4 | წყლის მრიცხველი | ახ.სოფელი | 4 | 47.20 | 4.72 | 4.72 | 20 | 300403344 |
| 5 | წყლის მრიცხველი | საგვიჩიო | 3 | 11.20 | 1.12 | 1.12 | 20 | 300403344 |

**დანართი№2**

| № | ქონების დასახელება | სარეგისტრაციო ნომერი | გამოშვების წელი | ფერი | ტიპი | აუდიტორული შეფასება | „ბე“ 10% | „ბიჯი“ 10% | ბილეთის ფასი | სახაზინო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა/მანქანა „ფორდ მონდეო1.8“ | NAA 876 | 1994 | ლურჯი | ჰეტჩბეკი | 1360 | 136 | 136 | 20 | 300403332 |
| 2 | ა/მანქანა „მერსედეს ბენც 320“ | SZS002 | 2001 | ყავისფერი2/8 | მაღალი გამავლობის | 6000 | 600 | 600 | 20 | 300403332 |
| 3 | ა/მანქანა „ოპელ ომეგა“ | BBT 267 | 1995 | ლურჯი 6/8 | სედანი | 800 | 80 | 80 | 20 | 300403332 |
| 4 | ა/მანქანა „ოპელ ომეგა“ | BBT 268 | 1995 | მწვანე 8/8 | სედანი | 560 | 56 | 56 | 20 | 300403332 |
| 5 | ა/მანქანა „მონტერო-სპორტი“ | AOO009 | 1999 | შავი | მაღალი გამავლობის | 5280 | 528 | 528 | 20 | 300403332 |

**დანართი№3**

| № | შენობის დასახელება | მისამართი | სართული | ოთახების რაო-ბა | გასაიჯარებელი ფართობი კვ.მ | 1კვ.მ ფართის საბალანსო ღირებულება | ქონების გასხვისების ვადა (წელი) | იჯარის ქირის განაკვეთი (%) | საიჯარო ქირა 1 კვ.მ (წელიწადი) | „ბე“ 10% | ბიჯი 10 % | ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საყოფაცხოვრებო სახლი | ჭალადიდი | II | 6 | 115.69 | 82 | 3 | 40 | 32.80 | 3.28 | 3.28 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2013 წლის 21 აგვისტო, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

# ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

## 500/200კვ ქვესადგურის „ჯვარი“ და შესაბამისი 500კვ და 200კვ ეგხ-ების მშენებლობის პროექტის შესახებ

**შპს. „ენერგოტრანსი“ 2013 წლის 3 აგვისტოდან საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად იწყებს 500/200კვ ქვესადგურის „ჯვარი“ და შესაბამისი 500კვ და 200კვ ეგხ-ების მშენებლობის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვას. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:**

1) დაახლოებით 2X8 კმ სიგრძის 500 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობა, 500 კვ „კავკასიონის“ ხაზის შეჭრით და დაახლოებით 60 კმ 220 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ჯვარიდან ხორგაში, რაც გულისხმობს ახალი 220 კვ ორჯაჭვა ეგხ-ს მიერთებას ხორგის 220 კვ და ჯვარის 500 კვ ქვესადგურებთან;

2) ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობას ჯვარში–ქვესადგურის 500კვ მხარის მოწყობა ამომრთველის ერთნახევარი სქემით, ორი დიაგონალით; 220 კვ მხარის მოწყობა ორი სალტით, სალტეთა მაერთით და ექვსი სახაზო უჯრედით, 500/220კვ 3X167 მვა ტრანსფორმატორების ერთი ჯგუფით და თანმხლები სამშენებლო სამუშაოები და მომსახურება.

1. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში–ა/წ 26 სექტემბერს 15:00 სთ-ზე, მისამართზე: ქ.ზუგდიდი, რუსთავ ბერსელის ქ №90, IV სართული.

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში–ა/წ 27 სექტემბერს, 12:00 სთ-ზე, მისამართზე: ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. №5, II სართული.

3.ხობის მუნიციპალიტეტში–ა/წ 27 სექტემბერს, 15:00 სთ-ზე, მისამართზე: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189, III სართული

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე.:

- გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. 6 (ამობეჭდილი ვერსია);
- სს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“–ბარათაშვილის №2, სართული, ოთახი №218. (ამობეჭდილი ვერსია), (www.gse.com.ge – ელექტრონული ვერსია);
- შპს. „ენერგოტრანსი“–ბარათაშვილის №2, III სართული, ოთახი №313. ამობეჭდილი ვერსია (www.energotrans.com.ge ელექტრონული ვერსია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი–რუსთაველის ქ №90 (ელექტრონული ვერსია);
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტი–კ. სალიას ქ. №5 (ელექტრონული ვერსია);
- ხობის მუნიციპალიტეტი–ცოტნე დადიანის ქ.№ 187 (ელექტრონული ვერსია).

***კომენტარები მიიღება ა/წ 10 სექტემბრამდე შემდეგ მისამართებზე: info@energotrans.com.ge; a.khetaguri@energotrans.com.ge; m.gikoshvili@energotrans.com.ge ელექტრონული სახით, და შპს. „ენერგოტრანსი“–ბარათაშვილის №2, III სართული, ოთახი №313, წერილობით.***

# განცხადება

2013 წლის 23 სექტემბერს, 14 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის, ჭალადიდის თემის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდი) გაიმართება შპს „ბილჯ ვოტერ"-ის ლიალური წყლების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია საზღვაო ნავსადგურებიდან მიღებული ლიალური წყლების ნავთობპროდუქტებისაგან გაწმენდა და გაწმენდილი წყლის გაუქმებულ ნავთობის ჭაბურღილში ჩაჭირხვნა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ბილჯ ვოტერ"-ის ოფისში-ქ. თბილისი, კანკავას ქ. №3;
- ხობის მუნიციპალიტეტის, ჭალადიდის თემის ადმინისტრაციულ შენობაში - ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდი;
- შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 5 (95) 59 52 55.

*საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 16 სექტემბრის 18 საათამდე.*

**შპს „ბილჯ ვოტერ"-ის ადმინისტრაცია**

## სოფლის მეურნეობა

**როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხობის საინფორმაციო სამსახურიდან გვაცნობეს, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სიმინდის ნათესებში, გავრცელდა მავნებლები-სიმინდის ანუ ღეროს ფარვანა და მდელოს ხვატარი. გაგაცნობთ მათ მახასიათებლებსა და გავრცელების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებებს.**

### სიმინდის ანუ ღეროს ფარვანა



სიმინდის ანუ ღეროს ფარვანა ნაირჭამია მავნებელია. მის ძირითად საკვებ კულტურას სიმინდი წარმოადგენს.

ფარვანას პეპელას წინა ფრთები მკრთალი ფერისაა, ორი მოშავო ხვეული ხაზით და შავი კიდეებით. შუაში კი მკრთალი ზოლით. ზრდასრული მატლი მოყვითალო რუხი ფერისაა, ხშირად მოწითალო ელფერით, ზურგზე გასწვრივი მუქი ზოლია. თავი მურა ფერისაა. ზრდასრული მატლის გამოზამთრება ხდება კულტურული მცენარის ღეროში. პირველი თაობის პეპლების გამოფრენა ხდება მაისში,თუმცა ფრენა ივნისშიც გრძელდება.

კვერცხის დება იწყება გამოფრენის მე-4-5 დღეს, დაბალი ტენიანობის დროს კვერცხები არ იდება. კვერცხდება გრძელდება 15-25 დღე. დედალი საშუალოდ დებს 250-350

კვერცხს ოპტიმალურ პირობებში, როდესაც ტემპერატურა მაღალია და ფარდობითი ტენიანობა 70-80%. ის 1250 კვერცხსაც კი დებს. კვერცხები იდება ფოთლის ქვედა მხარეზე, ჯგუფჯგუფად, კვერცხები იდება სიმინდზე, სარეველა მცენარეზე და სხვა. კვერცხების დიდი რაოდენობა იღუპება არახელსაყრელი პირობების გამო, როგორიცაა ტენიანობის სიმცირე, მზის სხივების მოქმედება, წვიმებისაგან ჩამორეცხვა. ემბრიონის განვითარება 12 დღე გრძელდება.

ახალგამოჩეკილი მატლი 1 საათის განმავლობაში შედის ფოთლის ფირფიტაში.

(ფირფიტას ემჩნევა განივმწკრივებად გაწყობილი გამჭოლი მრგვალი და წაგრძელებული ხვრელები), მის ყუნწში და აქ იწყებს კვებას. შემდეგ გადადის ღეროში, ტაროს ქოჩოზე და მის ფეხში. მატლები ტაროებში ან მათ ყუნწებში ღრღნიან სასვლელებს და ჭამენ მარცვლებს (დაზიანების შემდეგ მძიმე ტაროები ტყდებიან. ასევე ქარში იმტვრევა გულამოჭმული სიმინდის ღეროები). ერთი მცენარის დაზიანების შემდგომ მატლი გადაცოცდება მეორეზე და ასე გრძელდება დაჭუპერებამდე. ( მატლი კანს იცვლის 4-5 ჯერ და საკმაოდ სწრაფად იზრდება).

### მდელოს ხვატარი

პეპელას სხეულის სიგრძე 17-23მმ. გაშლილი ფრთების ზომა 38-50მმ. წინა ფრთები ნაცრისფერ-ყვითელი ფერის, ფრთების შუაში დაჩრდილული ნაწილთან- პატარა თეთრი ლაქა, ფრთების წინა კუთხიდან ბოლოსკენ მოსდევს გარდიგარდმო მუქი ზოლი.კვერცხი მრგვალია, ყვითელი, პრიალა, მუქი ბადისებრი ხაზით, სიდიდით 0.5-0.6მმ. მატლი მუქი მწვანე ფერი, სხეულის გვერდებზე დამახასითებელია ოთხი ღიაფერის ხაზი, თითოეული მხრიდან ორ-ორი, ხოლო ზურგზე მურა მწვანე წვრილი, შუალედში ღია ფერის ზოლით. მკერდის პირველი სეგმენტი მუქი მურა ფერის, სამი გარდიგარდმო ღია ფერის ზოლით. თავი მურა-ყვითელი, შუბლის ნაკერების გასწვრივ მუქი ზოლებით. ჭუპრი მუქი ფერისაა, ბოლოში ოთხი ქაცვით, სიგრძე 13-15მმ. იძლევა წელიწადში 3-4 გენერაციას ამინდის პირობების მიხედვით.

პირველი თაობა ვითარდება ივნისში, ივლისის დასაწყისში. ამ დროს მატლები იკვებებიან ველურ სარეველებზე.

მეორე ივლის-აგვისტოში, მესამე-სექტემბერ-ოქტომბერის დასაწყისში. სამარცვლე ნაკვეთებზე ( განსაკუთრებით ნაგვიანებ ნათესზე).

მეოთხე თაობა შეიძლება განვითარდეს ნოემბრის დასაწყისში. გაჭიანურებული, თბილი შემოდგომის პირობებში და იკვებება ველურ მარცვლეულ სარეველებზე, რადგან სასილოსე სიმინდი ამ დროს აღებულია.

მეორე თაობის უმცროსი ხნოვანების მატლები იკვებებიან მცენარის ნაზი,ახალგაზრდა ფოთლებით, ხოლო უხეშზე ფხეკენ ფოთლის პა-



რენქიმას (ზედაპირს). უფროსი ასაკის მატლები სრულად სპობენ სიმინდის ახალგაზრდა ნათესებს, ხოლო ზრდასრულ და განვითარებულ მცენარეებზე ფოთლებიდან მთავარ ძარღვებს.

მესამე თაობის მატლები არ მარტო ანადგურებენ მცენარის მწვანე მასას, არამედ ზიანს აყენებენ რძის სიმწიფეში მყოფ ტაროებს, იკვებებიან რა მისი ძაფებით და წვეროს მარცვლებით.

### მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები

პრეპარატი „დეცისი"-5გრ- 10ლ წყალზე, „ალპაკი"-6-10გრ- 10ლ წყალზე, სუპერჰექტამეტრინი-6-10გრ,-10ლ წყალზე. 1 ჰა ნათესზე საჭიროა 300-350ლიტრი ხსნარი. წამლობისას აუცილებელია დავიცვათ უსფრთხოების ნორმები და გავითვალისწინოთ მეტეოროლოგიური პირობები.

წამლობისათვის საჭირო პრეპარატები და შესაბამისი ტექნიკა ხელმისაწვდომია.

დამატებითი ინფორმაციისათვის mimarTeT samsaxurs.

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური.**

## სულთათანა

### გამორჩეული კალმოსანი

ძნელია ისეთ ადამიანზე საუბარი, რომელიც წლების განმავლობაში სიცოცხლეს გილამაზებდა, გახალისებდა, გამხნევებდა, გეიმედებოდა. უბრალოებით გამორჩეული შენთვის მახლობელი და ამავდროულად მართლაც დიდი კაცი იყო.

გოგი–გაიოზი–ორი სახელოვანი გვარის–კოდუების და ბუკიების შთამომავალი, მისი სიცოცხლე–უდიდესი სიხარული, გარდაცვალება–გაუნელებელი ტკივილი...

პირველი მაისის თემში, სადაც დაიბადა, გაიზარდა და სამუდამოდ ჩაეწნა მის ფესვებს, მისი ძმის საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის, მეცენატისა და ბიზნესმენის გოდერძი ბუკიას თაოსნობით და დაფინანსებით, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვაკურთხევით ბათუს მთაზე საეკლესიო კომპლექსის და საპატრიარქო რეზიდენციის ტაძრის მშენებლობა დასრულდა.

ტაძრამდე ასასვლელი კიბის ბოლო საფეხური ავთვალე და თვალუწვდენელ სამყაროს ვავლებ თვალს. მახსენდება ტაძრის საფუძვლის ჩაყრის დღე. და–რუსიკო, ძმა–გოდერძის შორის იდგა ღვთის მადლით გაბრწყინებული, გალაღებული და რაღაც სხვანაირი ამაყი. ასეთი სიამაყე მხოლოდ მაშინ „ეპარებოდა" მის თავმდაბლობით გამორჩეულ სულს, როცა ქართული საქმის თანამონაწილე, თუნდაც მხილველი ან გამგონი იყო და, რაც მთავარია, როცა ქართული პროზის ან პოეზიის სიმებს შეეხებოდა, და ასეთი გოგი ბუკიას ნახვა ნაცნობ–მეგობრებს, საბედნიეროდ, ხშირად ჰქონდათ...

ტაძარს, ბუნებრივია, ზარი ამშვენებს. ერთი გოგის სახელდებულია, მეორე გია კვირიკაშვილისა (გოდერძის ცოლისძმა), თითქმის ერთ ოჯახად შეკრული ორი ადამიანისა, რომელთა ადრეშეწყვეტილი სიცოცხლე მაგალითად რჩება სხვათათვის–როგორ უნდა გიყვარდეს და როგორ უნდა უყვარდეთ... მერამდენედ მახსენდება დიდი ილიას სიტყვები „უზომობაა ყველაფერში მავნეო" ვფიქრობ, საზოგადოდ სიყვარულმა თუ ავნო მის მტკივან გულს... მე ხომ მისი დიდი სიყვარულის თვითმხილველი ვარ, სიყვარულისა, რომელსაც დღემდე ჩემი მეგობრის ნანი კილასონიას სახელი ჰქვია. შემდეგ იყო ერთადერთი შვილის, მამის სადარი ბიჭის, გიორგი



ბუკიას სიყვარული, მოგვიანებით პატარა გოგოს, სკოლის მოსწავლის თამუნა სიჭინავას რძლად (უსაყვარლეს შვილად და მეგობრად) მობრძანება და უკვე ახდენილი ოცნება მრავალშვილიშვილზე. იქნებ გულმა ვერ დაიტია ამდენი სიყვარული...

ყურში ჩამესმის დედასთან ერთად მისი განსაკუთრებული ხმით ნამღერი „ყოველ სნეულებაზე, სიყვარული ძნელია..."

გოგის მეხსიერებამ მხოლოდ ტაძრის მაკეტი გაიყოლა და მის უნახავ შვილიშვილებს ტატას (ანასტასია), გოგიჩოს (გიორგი) და პატრიარქის ნათლულ ნუციკოს (მარიამი) სიამაყედ დაუტოვა მისი გავლილი გზა, რომელიც ყველა ასაკსა და თაობაში მხოლოდ სიკეთესა და სილაღეში ასოცირდება...

დასანანია, რომ გოგი ბუკია ჯერ სამოცისა არ გამხდარა... 5 აგვისტო მისი დაბადების დღეა. დღე, რომელიც ძალიან უყვარდა და გამორჩეულად, მისთვის დამახასიათებელი სილაღით აღნიშნავდა. ეს საღამო იყო ლექსის, იუმორისა და სიმღერის დღესასწაული...

გოგი–მრავალმხრივი ნიჭის მქონე ჟურნალისტი, გამორჩეული კალმოსანი, ნარდს, როგორც სპორტის სახეობას ისე უხდიდა ხარკს, ამაშიც განსხვავებული და თვითმყოფადი იყო. ამიტომაც იმართება მისი ძმის თაოსნობით ყოველწლიურად ნარდის საერთაშორისო მემორიალი–კიდევ ერთი შტრიხი მისი არდავიწყებისა.

...კიბეებს ფეხაკრეფით ჩამოვუყევი და კიდევ ერთხელ ავხედე ტაძარს, რომელიც ყოველთვის მომაგონებს ჩემს უახლოეს ადამიანს, ოდნავ ფიცხს, გულახდილ და გარეგნობითაც სხვათაგან გამორჩეულ ადამიანს, რომელსაც ხობელობა ძალიან ეამაყებოდა, ხობელებს კი მისი სახელი და გვარი–გოგი ბუკია.

***მერი ლაგვილავა***

### აკაკი (კაკო) ზარანდია



„ათას ცოცხალსა ბევრჯერა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია"... ბატონ კაკო ზარანდიას გახსენება ამ სიტყვებით გვინდა დავიწყოთ. ძნელია ამ დიდებულ პიროვნებაზე წარსულ დროში საუბარი, სამწუხაროდ, ღვთის ნებით ასე მოხდა–უფალი რჩეულებს უხმობს ზეცაში. პედაგოგმა კაკო ზარანდიამ გაჩენის დღიდან, ვიდრე გარდაცვალებამდე, ყველა ეტაპი ღირსეულად გაიარა, სიცოცხლეში იმდენად მოკრძალებული იყო, რომ არ სურდა მასზე საქებარი სიტყვების მოსმენა, სიმართლე და პატიოსნება იყო მისი ცხოვრების ამოსავალი წერტილი. უაღრესად სათნო ხასიათის და მიმტევებელი ბუნების კაცი იყო, უსამართლობასთან წილნაყარი მის გვერდით ვერ დადგებოდა. მისი ნაბიჯები მუდამ დინჯი და აუჩქარებელი იყო, ემოციებს არასდროს ყვებოდა. დიდი მონდომებით და უღალატოდ უძღვებოდა ჯანსაღი მოქალაქის აღზრდის საქმეს. ხშირად იტყოდა–„ჯანსაღ სხეულში–ჯანსაღი სულია, აღზრდა რომ იყოს ადამიანური, გარემოც უნდა იყოს ადამიანურიო",–იცოდა თქმა. მის მოღვაწეობაში მხოლოდ სიმართლე ზეიმობდა. სიმართლის გულისთვის არავის ასამართლებენო... მიუხედავად მაშინდელი ცხოვრების მძიმე ქარტეხილებისა, იგი ბოლომდე დარჩა თავისი პროფესიის ერთგული და შინაგანად გაწონასწორებული. სწორედ ასეთ პიროვნებებზე შეეძლო დიდ პოეტს ეთქვა:

*„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,*
*ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,*
*წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე*
*თურმე ესეც გმირობაა დიდი!"*

ჭეშმარიტად!

სწორედ, მისი ამაგის დაფასება იყო ამ დღეებში ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ახალგაზრდობის სახლის და მეგობრების მიერ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი ჭადრაკში, რომელიც ყოველი წლის 10 ივნისს გაიმართება.

ჩვენ, მისი მეგობრები, მუდამ ვიგონებთ მას, რამეთუ ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა და იგი ყოველთვის ამარცხებს სიკვდილს. უფალს ვევედრებით ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი და ლამაზი სული.

***შალვა ხარებავა, ზაურ ტორჩინავა, მამუკა გეთია, საშა არჩაია.***

შ.პ.ს. „ხობის მოამბეს" კოლექტივი თანაუგრძნობს გაზეთის რედაქტორს მანანა შულაიას ბიძის

**რეზო შულაიას და მამიდაშვილის ცეზარ შურღაიას**

გარდაცვალების გამო.

ჭადრაკი

სპორტი

ჭადრაკი

# პატარა ოთახის დიდი ჩემპიონები

**ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ჭადრაკის წრის ბავშვებისათვის ზაფხულის პერიოდი საკმაოდ საინტერესოდ და ნაყოფიერად წარიმართა.**

**ურეკში გაიმართა ევროპის თასის გათამაშება, ქ. ფოთში ჩატარდა მე-8 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი ნანა ალექსანდრიას თასზე, სადაც I ადგილის მფლობელები გახდნენ: ბლიც-ტურნირში ამირან შონია, ასაკობრივ ტურნირში დიანა ლომაია და თეიმურაზ კვიკვინია. III ადგილი ლუკა შამუგიას, XIII გიორგი ლატარიას, XVI ადგილი სანდრო ბუკიას ერგო. საერთო გუნდურ წარმატებაში საუკეთესოებად ხობელი მოჭადრაკეები დასახელდნენ. ხოლო მწვრთნელ-მასწავლებელმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, ღირსების ორდენის კავალერმა, ფიდეს არბიტრმა—ირაკლი გეთიამ TOP მწვრთნელებს შორის ერთ-ერთმა, ფოთის ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციებში 4 პრიზი დაიმსახურა. ეს წარმატება უკვე ბევრის მთქმელია. პატარა ჩემპიონები დღის მეცადინეობაზე მოვინახულე და გავესაუბრე.**

**მეცადინეობა ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა, მოსწავლეთა სახლის ერთ პატარა ოთახში, სადაც მხოლოდ 5 მაგიდა დგას, ბავშვები მორიგეობით სხდებიან დაფებთან და პარტიებს არჩევენ...**



**-ბატონო ირაკლი, დიდი ბრძოლის შემდეგ ტაიმაუტს ხომ არ აიღებდით?**

- ჩვენი სტანდარტი საერთაშორისო დონეს ექვემდებარება, ტურნირებზე გასვლა ხშირად გვიწევს და მთელი წლის განმავლობაში სამუშაო რეჟიმში ვართ. წლის ყველა დროს ბავშვები მზად უნდა იყვნენ საასპარეზოდ. ჯგუფში 6 საერთაშორისო რეიტინგის მოჭადრაკე გვყავს. მათ შორის 3 საქართველოს ჩემპიონია სხვადასხვა ასაკში, ევროპის თასის ორგზის მფლობელი, რაც იშვიათობაა და რეკორდსმენი დიანა ლომაია, რომელმაც ურეკში ევროპის თასზე 9 შესაძლებლობიდან 9 ქულა აიღო. ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებით, რომელიც მონტენეგროში გაიმართება.

დიანა იქვე სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონის აბსოლუტურ ჩემპიონს გიორგი ლატარიას ეთამაშებოდა და რჩევებს მწვრთნელისგან იღებდა.

**ირაკლი გეთია**—დიანა ჯერ მხოლოდ 8 წლისაა და სერიოზული შედეგები დადო ჭადრაკში. ეს პატარა „ქალბატონი“ ჩემი დიდი ოცნების ნაწილია. ტურნირებზეც ამართლებს, მაგრამ შეჯიბრის დაწყებამდე სულ შიშობს,მონაწილეებს კი მისი ეშინიათ. დიანა მოპოვებულ სახელს უფრთხილდება და ძალიან უნდა ხობი ასახელოს.



**დიანა ლომაია**—როცა ტურნირზე მივდივარ, ბავშვები სულ შიშით მიყურებენ,ზოგი ჩემთან თამაშს არიდებს თავს, ამიტომ დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება და ჩემი შიშიც ამით არის გამოწვეული.

**ირაკლი გეთია**—დიანა როცა თავისი დონის მოჭადრაკეს ხვდება, პარტიას სრული პასუხისმგებლობით ეკიდება და დასახურებულად იმარჯვებს და თუ დაბალი დონის პარტნიორი შეხვდა, თამაშის ინტერესი ეკარგება. იმარჯვებს, მაგრამ თამაშის ტემპს კარგავს. 2 წლის განმავლობაში მხოლოდ 6 პარტია წააგო, ეს დიდი მაჩვენებელია.

**დიანა**—როცა ძლიერთან ვთამაშობ, თამაში საინტერესოა და მომწონს. ზოგთან კიდევ უინტერესო... ყველაზე მეტად ფოთში ჩატარებული ტურნირი დამამახსოვრდა, იქ მეჩვიდმეტე თასი ავიღე. იცი როგორ მიხარია, როცა ჩემს დედიკოს თვალებში დიდ სიხარულს ვხედავ და მამუკა მასწავლებელს ჩემი გამარჯვებით რომ აჯილდოებენ.

**ირაკლი გეთია**—მთავარია რასაც სწავლობ, იმის არსი გესმოდეს, სიღრმეებს ჩაწვდე, ასაკს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, სტრატეგიაა მთავარი. ჯგუფში მყავს ისეთი ჩემპიონიც, რომელსაც უფროსებთან თამაშის შიში ჰქონდა, მაგრამ ეს ფსიქოლოგიური პრობლემა გადავლახეთ და სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატში 16 წლიანებში 12 წლის ლუკა შამუგიამ საუკეთესო მაჩვენებელი დადო. იგი საკმაოდ პერსპექტიული და ჭკვიანი მოთამაშეა.

**ლუკა**—ჩემი თამაშის მანძილზე 7 თასი და 12 მედალი მაქვს მოპოვებული. მამუკა მასწავლებლის დახმარებით ბევრ წარმატებას მივაღწიე . მინდა მას ვასიამოვნო და ჩემი გამარჯვებით გული გავუხარო.

**ირაკლი გეთია** - რამდენად სერიოზული მოთამაშეა ლუკა, იმდენად ცელქი და მოუსვენარია გიორგი ლატარია. სწრაფი თამაშის გამო I ადგილი ბევრჯერ დაუკარგავს. ვცდილობთ, ერთად გამოვასწოროთ ეს ნაკლი. პერსპექტივა გიორგისაც დიდი აქვს.

**გიორგი**—სულ ვეუბნები ჩემს თავს, არ იჩქარო, გიო, მაგრამ რა ვქნა, ბევრი ფიქრი არ გამომდის... (იცინის).

**ირაკლი გეთია**—სწრაფი, უდაოდ ნიჭიერი მოჭადრაკე კიდევ გვყავს - თეიმურაზ კვიკვინია. ჯერ მხოლოდ 7 წლისაა და ნანა ალექსანდრიას ტურნირზე ასაკობრივ შეჯიბრში ჩემპიონი გახდა.ხოლო 8 წლიანებში მე- 3- მე-5 ადგილს დასჯერდა. თემუკას ცხოვრების ასპარეზზე დიდი წარმატებები ელის. ტურნირზე გვასახელა ამირან შონიამ, რომელიც უკომპრომისო იყო ბლიც-ტურნირში და გამარჯვებული გახდა. ამირანი საჭადრაკო სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული, ტიტულოვანი მოჭადრაკეა. ბევრ ტურნირში გვასახელა. ფოთის ტურნირის დებიუტანტიც გვყავს—სანდრო ბუკია, რომელმაც 4,5 ქულით 16 საუკეთესოთა შორის მოხვდა. ეს სანდროსთვის დიდი წარმატებაა და მომავალშიც ბევრს ველოდები მისგან.

ეს ბავშვები ხობის საჭადრაკო წრის დიდი ჩემპიონები არიან. ჩვენ ერთი გუნდი ვართ. ბავშვები ერთმანეთს მხარში უდგანან, ამხნევებენ ერთმანეთს, მოგებას ერთად აღნიშნავენ და წაგებას განიცდიან. მეგობრობენ, მაგრამ სათამაშო დაფაზე დაუძინებელი მეტოქეები არიან.

დიანას წინ დიდი ასპარეზი მონტენეგროს ევროპის ჩემპიონატზე ელოდება, რომელიც სექტემბერში გაიმართება.

სურვილები....

**ირაკლი გეთია:** ჩემი სურვილია, ხობის მოჭადრაკეებს საკუთარი საჭადრაკო სკოლა ქონდეთ, ინვენტარი გვჭირდება, კომპიუტერული ტექნიკა, რითაც ბავშვები ცოდნის გაღრმავებასა და უკეთესი შესდეგის დადებას შეძლებენ. კიდევ, ერთი მსოფლიო ჩემპიონი მინდა გავუზარდო ქვეყანას(!)

დიდი მადლობა განათლების ცენტრის დირექტორს ხათუნა ხორავას, რომელიც შეუძლებელს აკეთებს ჩვენს დასახმარებლად.

**დიანა**—ჩემი სურვილი მსოფლიო ჩემპიონობაა, ბევრს ვისწავლი, ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის.

**სანდრო**—მე კომპიუტერი მინდა,სადაც მხოლოდ მე ვითამაშებ ჭადრაკს დიდ მოჭადრაკეებთან.

**გიორგი**—ისე მინდა ვითამაშო ჭადრაკი, კომპიუტერით დამაჯილდოვონ. კომპიუტერი სახლშიც მაქვს, მაგრამ ჩემი შრომით მიღებულ ჯილდოს სულ სხვა ხიბლი აქვს.

**ლუკა** - მეც მინდა დიდი მოჭადრაკე გამოვიდე და ხობი ვასახელო. კიდევ პლანშეტი მინდა, რომელსაც ტურნირებზე ვატარებ, იქვე გავარჩევ პარტიებს და რაც პროფესიულ ზრდაში დამეხმარება.

წარმატებებს გისურვებთ პატარა ჩემპიონებო.

**ლელა ალანია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წამყვანი სპეციალისტი, მედიასთან ურთიერთობის საკითხებში**

## ანეკდოტები

კახეთის სკოლაში მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:
- ბავშვებო, რა გვარი იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი?

- თოფაძე, მასწ! - სხარტად უპასუხა პატარა მიხომ.

თვითმფრინავი ვარდება. მფრინავი სვანია. სასწრაფოდ რეკავს დისპეტჩერთან და დახმარებას სთხოვს. დისპეტჩერი ეუბნება:

-ადგილმდებარეობა და სიმაღლე მითხარით!

სვანი სხარტად უპატაკებს:

- კაბინაში მარჯვნივ ვზივარ, სიმაღლით კი მეტრი და ოთხმოცი ვარ!

სვანი ქუთაისიდან თბილისში მოდის ავტობუსით. გზაში ჩათვლიმა. ხაშურს რომ გამოსცდნენ, მძღოლს გასძახა:

-შოფერ! გააჩერე, ქუდი გადამივარდა!

- შენ, ძმაო, ქუთაისიდან გძინავს და სად ვეძებო ახლა მე შენი ქუდი?

სვანმა თავზე ხელი დაიდო და ბრძნულად დაასკვნა:
- არა! ახლოს იქნება გადავარდნილი, თავი ისევ თბილი მაქვს!

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი—მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე—ნანი კილასონია.
რედაქტორი—მანანა შულაია.
ჟურნალისტები—ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა—ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.